ნიკოლოზ მიწიშვილი

საზოგადოებრივი საკითხები

ტფილისი
1927

ქართველ ახალგაზრდობას
უძღვნის ამ წიგნს ავტორი.

წინასიტყვაობის მაგიერ

ამხანაგებო! მე მინდა, რომ აქ აღძრულმა საკითხებმა თქვენც ისე შეგაწუხოს,,როგორც მე მაწუხებდენ ისინი თავის დროზე და მაწუხებენ ეხლაც

შეიძლება ზოგიერთისთვის ჩემი ფიქრები და ჩემი დასკვნები მიუღებელი დარჩეს და ეს წიგნი უკანეე დამიბრუნოს.

მე ამითაც კმაყოფილი დავრჩები.

ნ ი კ ო ლ ო მ ი წ ი შ ვ ი ლ ი.

ტფილისი
1927.

ფიქრები საქართველოზე

სტამბოლი. 30 აგვისტო 1922.

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს წერილია თქვენზე და პოეზიაზე. შეიძლება ხვალ ამის გამოგზავნა მოვახერხო და ამალამ მინდა გესაუბროთ თქვენ, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია სტამბოლში და შემდეგ არ ვიცი, როდის შევძლებ რამეს მოწერას. ეს სამი თვე, რომელიც დავყავი ამ გარყვნილ ქალაქში — გავატარე მარტო კითხვასა და ჩვენზე ფიქრში. და ამ წერილში მინდა ამაზე გელაპარაკოთ. ხომ გახსოვს ტიუტჩევი:

Я жребий свой невольно забывал
И радость пел, когда о вас мечтал".

სიხარული, როგორც ამას დაინახავთ — აქ აღარაა, მაგრამ ფიქრები თქვენზე და საქართველოზე — არის. და ეს მინდა თქვენ დაგიბაროთ.

თქვენ დაინახავთ, რომ ჩემი შთაბეჭდილება არაა სრული, ყოველმხრივი და დეტალური. მაგრამ ესაა პირველი შთაბეჭდილება და ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

გარდა ამისა მე ჩემს დაფასებაში მივყვები იმ თვისებას, რომელიც წამომყვა საქართველოდან და შეიძლება ეს ვიხმარო უმთავრეს საბუთად და ჩემს გასამართლებლად.

საქმე იმაშია, რომ პოეტმა უნდა გაიგოს თუ „რაშია საქმე“?

პოეტისათვის, მე მგონია, ესაა უმთავრესი და საეალდებულო. მან ერთი შეხედვით უნდა გასინჯოს პულსი. ჩაფრინდეს „ძირს“ და არ „დაადოს ხელი იქ, სადაც არ უნდა“.

ამას იქით იწყება უკვე „დოხტურობა“, დიაგნოსტიკა, ქირურგია და ღეჭვა. ესე იგი ყველაფერი ის, რაც სწო�s პოეზიას. რაც საზრდოობს მითი, ხოლო რასაც პოეზია არასოდეს არ დაერქმევა.

ამ გრძნობას მიეყვები მეც და ყველაფერი, რაც აქ ითქმება ამის ნეგატივია.

ეს არის, მე მგონია, თქვენი გრძნობაც პოეზიის.

ყოველ შემთხვევაში ესლა, როცა მე ასე თუ ისე უკვე შეეადგინე ერთგვარი წარმოდგენა უცხოეთის ლიტერატურის შესახებ და ეკითხები ჩემს თავს: ჩამოვრჩი, ჩვენ პოეზიას თუ არა — მე უსაფუძვლოდ ერთი პასუხი მაქვს: არა, ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ხუთი წელი დასურულ ყუთში ვზივართ.

შეიძლება ჩვენ ვერ გავთელეთ ბერგსონი, უცნობია ჩვენთვის ეინშტაინის თეორია, ბუნდოვანი იყოს შპენგლერი (და ის მართლაც ბუნდოვანია ისე, როგორც ძისი გვარი). უფრო აშკარად ამბობდა გერცენი თავის დროზე: „Пропащая буржуазная Европа!“-ო: მეტად სუსტნი ვიყოთ კანტებსა და სხვა ამისთანებში. ეს მართალია. მართალია, რომ ყოველივე ეს, როგორც აზროვნება, როგორც ცეხვა და ცოსნა — მიდის ჩვენს გარეშე და ჩვენში შეიძლება ვერ სტოვებს კვალს. ამ მსრივ, შეიძლება, მარ-

თლა ჩამოვრჩით და.---ეს ჩვენი ნაკლია. მაგრამ ის, რაც ამ ცოხნიდან გამომდინარეობს, რისთვისაც ყველაფერი ეს გაჩენილია და რასაც ყველა ეძებს — ამას ჩვენ ვგრძნობთ, და თუ, მაგ. შპენგლერი მექანიკური სეისმოგრაფია, მაჩვენებელი დღევანდელი კულტურის შექანების და შენგრევის — ჩვენ ვართ ის ხარი, რომელიც სეისმოგრაფზე ადრე გრძნობს მიწისძვრას. ეს არის კოსმიური გრძნობა ყველა პოეტის; მიკრობი, რომელიც შედის მის სისხლში და უცვლის მას ფერს.

ევროპის ხელოვნება და პოეზია, როგორც ხედვითი სანახაობა, როგორც წაუკითხავი წიგნი, უნახავი გამოფენა, ან მოუსმენელი მუსიკა, მიდიოდა შორს ჩვენგან. მაგრამ ის მარადიული სინათლე, რომლითაც ანათებს ხელოვნება ყოველ დროს, და ის შეუსხლეტელი სისხლი, რომელიც საუკუნეებით სჩქეფს ყველა პოეტის ძარღვებში — ვგრძნობ, გადმოსხმულია ჩვენშიაც.

ეს გრძნობა და თვისება გვაერთიანებს ჩვენ უცხოეთთან და, ალბად, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე აქ არ ვიგრძნე თავი ჩამორჩენილად.

მივყვები შემდეგ.

ამ რიგად — ჩვენ ვიცით ის „ღჯილო", სადაც შესულია პოეზია.

ჩვენ ბსარდამხარ მივყვებით იმ შეგნებას, რომელიც დღეს არსებობს სხვაგან და შეიძლება ჩვენშიც ზოგიერთი უპირატესობანიც კი ვიპოვოთ.

მაგრამ, როცა ვფიქრობთ ჩვენზე, ჩვენს გზებზე და ჩვენს მიღწევებზე — მე ვხედავ, რომ ჩვენ ეს შეგნება, ეს ბალა, ვერ ავიყვანეთ იმ სიმაღლემდე,

რამდენადაც ეს შეგვეძლო. ვერ გავზარდეთ, ვერ გამოვიყენეთ. და რომ ჩვენი შემოქმედება არ არის გამართლებული.

მე ძალერა ჩვენი პოეტური ინტუიცია და პოტენცია, მაგრამ მე ვსედავ იმასაც, რომ ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთა შეკრილი, დამცირებული და გაუშლელია.

ეს ჩემთვის უდაოა და აქ წერტილს დავსვამ.

და აქ იწყება ჩემთვის საშინელი ფიქრები. თუ ერთია — რატომ მეორე არაა?

მე მინდა ვნახო ამის მიზეზი. და ჩემი ეჭვები გადადის თვით ჩვენს ყოფნაზედ, იმ წვენის სიმშრალეზე, რომლითაც უნდა ვსაზრდოებდეთ ჩვენ, როგორც ქართველი პოეტები.

აქ არის, ჩემის ფიქრით, კრიზისი, რომლიდანაც მე გამოსვლას ვეძებ.

მე არ ვიცი — ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად.

დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსათვის. ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულიაციას — სპეკულიანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით.

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერა შერყეულ ქართველის ჯაგლაგათ, რომელსაც მიაჩანჩალებს დონკიხოტიერით.

მე არ ვიტყვი აქაურებზე. რადგანაც, გერცენის არ იყოს, ემიგრანტობა თავის თავად მეტად ცუდი

ავადმყოფობაა, და ქართველ ემიგრაციას, რომ განსკუთრებული ტკივილი მართებს — ცხადია.

მაგრამ მე ვიცი ხალხი, რომელიც აქაურებში მიწასთან ასწორებს ქართველ ბოლშევიკებს და საქართველოში კი იმავე ბოლშევიკური ხელისუფლების ქვეშ მილიარდებს აკეთებენ. საქართველოში ბოლშევიკებს უძვრებიან უკანა კარებიდან და ყოველ შემთხვევისათვის, რომელიმე რესტორანში მენშევიკებსა და ნაც.-დემ.-თან — მაინც მოიწმენდენ ხოლმე კეთილშობილ ცრემლს.

ყველა ასეთებს, ალბად ჩვენზედ მეტად „უყვართ“ საქართველო.

თქვენ იცით ბევრი ქართველი, რომელიც ტკბილად ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას. შერიგებით და მორიგებით, „არ იკლებს არაფერს“. მაგრამ „დღიური წესრიგის“ ამოსაწურავად ყოველშემთხვევისათვის მაინც გააჩერებს მოსახვევში თავისიანს. კითხავს „თუ რა ისმის“, და დამშვიდებული სინდისით წავა შინისაკენ.

თქვენ იცით ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტს გვიყვიროდენ ჩვენ და წრიპინობდენ ჩვენს ბოლშევიკობასა და კომუნისტობაზე (რამაც სტამბოლამდე და პარიზამდეც კი ჩააწია).

ეს ქართული „თილისმობაა“, ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო. და თუ ეხლაც ჩვენში ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ ხაზით უნდა წავიდეს — დეე ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ხეირი ანახოს. მე ამ გზით ვერ ვიარ.

დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო სპეკულიანტური, გაიძვერული ფსიხოლოგია, რომელიც წალმა

უკუღმა „ეტოროლიალება“ საქართველოს სხეულს— განსაკუთრებით ძლიერია.

ესეა აქაც.

და როცა ფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო — მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო:

— Тьфу, сволочи!

თქვენ იცით ეს თავდასხმა ჩვენზე რომელიც, ალბად გრძელდება. რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო. რომ არ ვართ პატრიოტები. ამას ყრანტალობს ხოლმე როგორც ეინმე ფილისტერი, ისე „პატრიოტი“ უკმაყოფილო და გულმოსული იმით, რომ ჩვენ არ დავდივართ ქუჩა-ქუჩა და სიმონა ჯღარმაძესავით არ ვყვირით „მზეო ამოდი, ამოდი“-ს...

გამიგრძელდა ამაზე წერა, მაგრამ აქეთ წამომიყვნია სიტყვებმა. საცა მე გავჩერდი ჩვენს შემოქმედებაზე. ჩემს იქვზე და საქართველოზე. და განვაგრძობ.

დიახ, მე ვამბობ. რომ ჩვენმა ჯგუფმა, მიუხედავათ იმისა, რომ მასშია დიდი გრძნობა პოეზიის გაგებისა და ათვისების, ვერ აიმაღლა თავი შემოქმედებაში იმდენათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პოტენციის მიხედვით. ამას უწოდე მე ჩვენი კრიზისი. და არა თავის გასამართლებლად ვახსენე მე საქართველო და მისი სიმშრალე.

ჩვენი მტრები იტყვიან. რომ ჩვენ „ამოვიწურეთ“, ან რომ ჩვენ ვართ, ზარმაცები, ან და კიდევ სხვა რამეს. მაგრამ ეს არ მიმაჩნია საყურადღებოდ და იმაზე არ გავჩერდები.

და ამაზე არ გავჩერდები.

ჩემი ფიქრი ებჯინება საქართველოს, და იგრძნობა ასე:

ჩემს წინ სდგას კითხვა: კითხვა „დედა-შვილობის" და ვკითხულობ: სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის.

საწრდოობა სამშობლოსაგან, თუ „რჩენა" სამშობლოსი.

იმ სახით, როგორც მე ამას ვკითხულობ, ევროპაში ეს საკითხი არ დაისმის. შეიძლება რუსეთში დაისვას ეს კითხვა. ეს იქ მართლაც არის. მაგრამ განსაკუთრებით კი ეს ჩვენი ქართული საკითხია.

და მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „სამშობლო — პოეტისათვის" (ხელოვანისათვის) ე. ი. რომ სამშობლოში (არა მარტო ზოოლოგიურ ცნებებსა და ეტნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერგია, ის სხვადასხვაობა, რომელიც ბადებს დიდ შეფოქმედებას. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერა, სოფიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას.

სწორედ აქ მეეჭვება მე საქართველო. აქ მეჩვენება მე ის იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში, რომ იტყვიან „უშვილობის წამალი აქვს დალეული"

ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას, და მისი არ უნდა შეგვეშინდეს. თუმცა დღეს გახურებულ ქართულ ატმოსფერაში ძნელია ამის თქმა...

აქ გვეტყვიან, შეიძლება, რომ ეს არის თვით მკვლელობა ჩვენი, და მოიყვანენ ძველ ჩექმასავით ნაცვეთილ მაგალითს იმ შტოს გადაჭრის შესახებ, რომელზედაც კაცი ზის.

რა გაეწყობა!

და მე ვფიქრობ. დიახ. ჩვენ და დღევანდელი საქართველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოდ) ვართ ორი ანდროგინი, და ჩვენგან არ შეიქმნის შთამომავლობა. და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ — სულიწმინდის მიერ დაორსულებულ არსებათ. რომელსაც „ბებია" სჭირდება, რათა მიიღოს ხელთ „ნაყოფი მუცლის მისისა". მაშინაც ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთ ბებიად. ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და არც იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის. ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნების და იმ დიდი სიყვარულის. რომლითაც გვიყვარს საქართველო

ჩვენი მოწინააღმდეგეები აქ ახსენებენ სხვა სახელებს ჩვენს გარშემო. იტყვიან, რომ ეს მარტო ჩვენ: ვართ უკარგისი. რომ არიან სხვები.

კი. ბატონო.

...რაა? ვინაა?

აქ იტყვიან. რომ პოეტი მაგალითად „დასეული დროშის" ლექსით სამშობლოს ემსახურება. როგორ? განა მაზე ნაკლებად ემსახურება სამშობლოს უცხო ვიხმე რუსთაველის პროსპექტიდან. რომელიც „ანტანტის ფლოტის" შესახებ გავრცელებულ ჭორებით ნაკლებ კი არა. უფრო მეტად აღელვებს „პატრიოტების" გულს და „ემსახურება" ქვეყანას?! ეს მეჭორე და ეს პოეტი ერთნაირად ღელდებიან და აღელვებენ. მაგრამ რა შუაშია აქ პოეზია?

ესაა. ჩემის ფიქრით ის უკულმართი მოვლენა, რომელზედაც ზევით ელაპარაკობდი, როცა სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და პირიქით, პოეტი სცდილობს ძისცეს მას.

პოეზიაში და, საზოგადოდ, ეს დახმარების ამბავია და ჩვენ ვიცით, რომ ეს სიყალბეა, გაუგებრობაა და მართლა სირცხვილი იმ პოეტს, რომელსაც შეეხარბება ასეთ გაუგებრობაზე აშენებული ძეგლი.

ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე „კვანქს ვერ მოკიდებ" და ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს.

ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პროზაც. აძიგძიგებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში.

მე მეშინია ამაზე ფიქრი.

კი, ბატონო, ჩვენ ვიყვეთ დეგენერატები: დეე, საქართველო არ გვიყვარდეს; დეე ჩვენ გაგვრიყოს საქართველომ და ეთაყვანოს თუნდა რწყილს. კი, მაგრამ სხვები სადაა? სხვებს რაღა დაემართა? რომ არც სხვა სჩანს!

და შემდეგ. ჩვენთვის, ჩვენნაირად ხომ გვიყვარს საქართველო. ხომ გვინდა ის, ჩვენი საქართველო, რომელიც ჩვენს ოცნებაში ზის, მუდამ ვეალერსებით და სხვანაირია. რომ არც ამ საქართველოზე გვაქვს ჩვენ კონკრეტიული წარმოდგენა?!

ჩვენს ოცნებას საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ ჩვენი გული და სიყვარული, ჩვენი სურვილი, მაგრამ არის სურვილი, ნდომა და არ არის რეალობა...

ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანთებს:

მაგრამ, როგორც ვსთქვი, ის ვერცა სხვამ ნახა. და თუ მარტო ჩოხა-ახალოხია საქართველო, უტიეთ მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, წყალში გადავარდეთ!!

ჩვენ. ამსანაგებო. დიდი დეფექტები გვაქვს, მაგრამ ერთი ცხადია რომ პოეზია უსათუოთ გვესმის, ვგრძნობთ მას სხვაზე მეტად. ამას მიმტკიცებს მე მთელი ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიაც ებუნაგობ აქ. და სწორედ ამიტომ ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მოვსულიყავით საქართველოს მიგნებამდე.

ეს ჩვენ ვერ ვქენით. ვერ შევძელით. აქაა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურობა. ამის მეშინია მე და აი, რატომ:

როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყოს პოეზია და ხელოვნება ის, ჩემის ფიქრით, მაინც ატარებს ეროვნულ სახეს. თვით ვერლენი, რომელსაც ნაკლებად ახსენდება სამშობლო და რომელიც ამბობს — Я равнодушен к судьбе народа"-ო (ჯერ კიდევ ვერ მომყავს ფარანგული ციტატები) ეროვნული მოვლენაა. შექსპირიც, დანტეც. ეროვნულია „ციმი და ზავი" „ჟან კრისტოფი" (რომელიც მხოლოდ ეხლა გადავიკითხე) მაგრამ ამ ერის და ეროვნების სახე იმდენად ძლიერია შემოქმედში, რომ მას სრულიად არ სჭირდება ლაპარაკი: „გაუმარჯოს საფრანგეთსო"! და სხვა. ამას ყვირის თვითეული სტრიქონი ყოველი ავტორისა. ეს წვრილმანი არ სჭირდება ავტორს, რადგან მის ერს იმდენი ქონი აქვს. იმდენი სხვადასხვაობაა მაში, იმდენათ თვალსაჩინო და გრანდიოზულია ის, როგორც ერი, რომ რაც უნდა არა ეროვნული ხასიათის იყოს ნაწარმოები — მისი ქვეყანა მაინც შიგაა. ის ყვირის და იძახის.

ამის წინეთ აქ იყო კლოდ ფარერი, რომელსაც საკმაოდ დიდი ზეიმი გაუმართეს. ოსმალეთს ეძა-

ხიან „პიერ ლოტის და ფარერის ქვეყანას“ — სულ ამ თათრებზე სწერენ, მაგრამ ისინი მაინც საფრანგეთის ლიტერატურაში არიან.

აიღეთ რუსეთი. რუსის ხელოვნებამ მთელი ევროპა დაიპყრო. არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსების გამოფენებზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს მერეჟკოვსკით, ბუნინით. დოსტოევსკით და სხვა — ფრანგულ ენაზე. სუდეიკინი ვერ აუდის თეატრების შეკვეთებს და მისი სურათები მიაქვთ ამერიკაში. ერენბურგი გამოდის რუსულათ, ფრანგულათ, გერმანულათ. ესენინი და კლიუევი ყვირიან ბარბიუსის „კლარტე“-ში ბევრი ჩვენი ნაცნობები რუსი მწერალი იბეჭდება თითქმის ყოველ თვიურად „მერკურ-დე-ფრანს“-ში და სხვ.

რა არის ეს?

ეს არის რუსეთი, რომელიც ნახა რუსის შემომქმედმა. ესაა რუსეთი, რომელიც მონახეს კირეევსკებმა და აქსაკოვმა; რომელიც აკურთხა „რაინდმა ბერმა“ სოლოვიოვმა; რომელსაც მიახეთქა თავისი გამსკდარი თავი ჩაადაევმა; რომელზედაც სტიროდა გერცენი — ეს ბაყბაყ-დევი რევოლუციის პათოსისა; რომელმაც დაარწმუნა ბელლი თავის მესსიანობაში და სხვა და სხვა. ეს რუსეთი აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს, შემოქმედებს...

აქ არის ხაზიც — ძიების და განდომისა. ტირილისა და ძაგვის. მაგრამ ტირის პოეტი, რომელსაც აწევს რაღაც გრანდიოზული, რომელსაც ახჩობს თა-

ვის ქვეყნის სიდიდე, სხვანაირობა, საკვირველობა, თავის სამშობლოს ღმერთი.

მოიგონეთ დოსტოევსკის მსჯელობა ერებზე და სახელმწიფოებზე: რომ არარაა ის ერი, რომელსაც არა ყავს და არა სწამს საკუთარი, თავისი ღმერთიო.

ეს ღმერთი ყავს საფრანგეთს, რომელიც კურთხევადა სდგას მარნაზე და ელენეს კუნძულზე; ბასტილიაზე და მარსელიეზაში. ეს ღმერთი ყავს გერმანეთს (და მარტო ამ ღმერთს ეხებოდა ის შტამპი, რომელიც დაკრული ქონდა სამხედრო საგნებს ომის დროს: „ღმერთო, დასაჯე ინგლისიო") ინგლისს, რომლის ღმერთი ვენერასავით ამოდის ზღვიდან, შემდეგ იქცევა ოფელიად რომ გაცოცხლდეს ინდოეთში...

ჩვენ ყველა ვხედავთ სკვითების ღმერთს...

და ასე ყველგან.

სხვებსაც ყავს და თუ არ ყავთ — შედიან სხვის საყდარში. ეს ღმერთები აკურთხებენ მათ პოეზიას. მათ ხელოვნებას. ასუქებენ და ანავარდებენ მას.

და ჩვენც, თუ გავშლით ფრთებს — გავშლით, როგორც ეროვნული მოვლენა. თუ გავალთ ევროპაში — გავალთ, როგორც და მარტო ქართველები. რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩენთ საქართველოს სახებას.

და როცა კვლავ უბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა. თანდათან გადაგვარებაში გადასული?

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინ-

ვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლო-
მი და რწყილი. ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყ-
ვი... არის რაღაცა შეკოწიწიებული და გადაყრილი.
მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა
ჯერ ვერ ვპოულობ. და ვერც აზრს საქართველოისას
წასრულში.

იქნება საქართველო წარსულში გაამართლოს
ჯვარმა. რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველ
მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა
გადმოდიოდეს. და სადაა ეს კურთხევა? ნუ თუ ჩვენი
აწიოკებული ისტორია კურთხევაა. ნუთუ ორიათა-
სი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა
მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს,
როგორც მოწოდებას საკუთარის აზრით და დანიშ-
ნულებით. ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოთ მო-
კლებულია საქართველო იმ „ნათელს სვეტს", რო-
მელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვი-
სა და შემოქმედებისაკენ.

ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ
ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი
ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ
არა და — ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მი-
სი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.

მე ვიბნევი დ მეშინია ასეთი კითხვების; მაწუხებს
ეს აქ. ისე როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სი-
მტკიცე და გული.

მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში
და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სა-
ხე იხატება მის შემოქმედებაში — საქართველოს სა-
ხე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია. ხოლო

ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში ეს თქვენ იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს...

შეიძლება ვერც ჩვენ ავამაღლოთ ხმა, როგორც შემოქმედმა, შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში.

მე მგონია, რომ ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ.

ჩვენ რომ ვეძებდეთ დაფასებას დღევანდელს, სახელს იაფს — ამას ყოველი ჩვენგანი შესძლებს. ეს ადვილია. მაგრამ ეს იქნება ღალატი სინდისისა და პოეზიისა. და ის, რაც მარადიულია ყველგან, რასაც უხვად აძლევს სხვა ხელოვნებას სხვა სამშობლოები — ჩვენ საქართველოში მას ვერ ვხედავთ და ვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც, ალბად მიგვიყვანს ცინიზმამდე.

სადაც არ უნდა წავიდეთ, ამ მიზეზის გამო, ჩვენ ცავს მაღლა ვერ ავწევთ და ვერც ერთ ჩვენგანში დღეს ვერ ალაპარაკდება საქართველო ისე, როგორც ალაპარაკდა იტალია მარინეტის ინტერნაციონალურ მანიფესტებში.

ისეთი ინტერნაციონალური მოვლენა, როგორცა რევოლუცია, უაღრესად ეროვნულ სახეს ამოისვრის ხოლმე პოეტში. საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლუციისა, რომელიც იშვენ რევოლუციით და მესამე ინტერნაციონალის ვარსკვლავსაც უგალობენ, — ყველაზე მეტად ეროვნული არიან.

მაიაკოვსკი, ესენინი, კლუიევი.

ტატლინის ძეგლი, მესამე ინტერნაციონალისათვის ეროვნული პოტენციის შედეგია, რომელიც გააქანა, აამოძრავა და გამოაჩინა რევოლუციამ.

დროა გავათავო წერილი!

ჩვენი გემი, რომელზედაც მე ვცხოვრობ სდგას „ოქროს რქაზე". ღამეა და ამ სიწყნარეში უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან.

მეც დავიღალე.

სტამბოლი ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიროდენ ქართველები. ეს წყლები „ბაბილონის მდინარეებია" და იქნება ოდესმე ქართველი პოეტიც დასტიროდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე. იქნება ისიც ეძებდა საკუთარ ვარსკვლავს ამ მინარეთების წვეტიან თავებში. და ეს მთვარიანი მინარეთები მასაც უფარავდენ სამშობლოს სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი...

ვინ იცის.

ვიჩქარი დასკვნებს. მეშინია ამ „ერესი"-ს. მაგრამ ესაა და რა ვქნა.

საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა. მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან. (ენერგია ჰიის. როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ. შინაგან აქტივობას მოკლებული იყო, საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე შეშოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას. მსოფლიო გამართლებას. საკუთარ რელიგიას. მოწოდებას. აზრს, შინაარსს.

ამიტია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა", თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა. ქართული ჰკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა. რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე, დაუმთავრებელი, მიულწეველი...

ქართული კულტურის ახალი გზები

ქართული კულტურის ახალი გზები

პარიზი. 1924.

1

საქართველოს ისტორია უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის არის მისწრაფება დასავლეთისაკენ. ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლობაში იყო ბრძოლა ჩინური კედელის შენგრევისათვის — ევროპაში. აღმოსავლეთიდან მოქნეული — ვახეთქებდით ამ კედელზე თავს. და ეს კედელი ვერ შევანგრიეთ.

კავკასიის კორიდორი. ქარი გამქვალავი. ხმა-ჩაწყვეტილი. გამოხარშვა საკუთარსავე სისხლში... ამ უნიადაგო ცოდვილში გადავიტარეთ ზუოგზე ოცი საუკუნე.

ამ ხანაში — ქრისტიანული კულტურა დასავლეთის დაცვდა. რომანულ-გერმანულ რასათა გენეალოგიის ხეს მოალპა ფესვი.. ევროპა, როგორც იდეა — გათავდა.

ესაა ფაქტი, რომელსაც არ მალავს თვით დასავლეთი.

მაგრამ ლოგიკურად ამ გათავების ფაქტს უნდა მოყვეს ფაქტი მეორე: დაწყება სხვა, ახალი კულტურის, ან გადახალისება არსებულის. ერთიც და მეორეც შეიძლება შეთანხმებულ იქნას ისტორიულ მსვლელობაში. ეს შესაძლებელია. მაგრამ სად, რომელ ადგილზე მოხდება ეს? ამ საკითხს სწყვეტს კულტურათა ისტორია და ეს ისტორია ცხადყოფს: რომ ახალი კულტურის ტერიტორია, ამ კულტურის

ცენტრი იქნება არა იქ, საცა დღესაა, არამედ სხვაგან, სხვა მიწაზე. სად და რა სახით? კანონები კულტურის მიგრაციის გვიპასუხებს: უთუოდ ჩრდილოეთისაკენ — აღმოსავლეთით.

ესაა დიაგნოზი მიმდინარე საუკუნის. დღევანდელი დროის. იცვლება ამინდი ზღვაზე. ქარი დაჰბერავს სხვა გზით და სხვა მხარეთი. და აღაესებს ახალ ადამიანს: ახალი სულით. კულტურით. იდეით. ახალი ორი ათასი წლით.

დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა. არჩევანის დრო.

ერთხელ ჩამოვრჩით დიდ, საკაცობრიო გზებს. ჩამოვრჩით, გამოვრჩით, თუ ვერ ჩავეტიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ წამება ოცი საუკუნის ვერ გავასაღეთ. ამაში ჩვენ დასავლეთიდან არაფერი შემოგვაძლიეს. ჩვენ წავაგეთ — რაინდობა, ჯვარი, ქრისტე, სისხლი: დასავლეთმა არ გაანაღდა არც ერთი ეს მსხვერპლი. თუნცა მოთხოვნილება ამ საგანზე თითქოს დიდი არსებობდა უკანასკნელ დრომდე.

ორპელიანი დაბრუნდა ევროპიდან გულგატეხილი, მაგრამ უკვე მოწამლული ევროპის ცინიზმით: ევროპის შემოთრევა კათოლიკურ საქართველოს იდეით, ეს იყო უკანასკნელი ცდა და ამავე დროს დეკადანსი ქართული პოლიტიკური რომანტიზმის. ცდა რეალური პოლიტიკის შექმნისა. მაგრამ ამ პალიატივმა არ გასჭრა და საკითხი საბოლოოდ გადასწყვიტა ჩრდილოეთმა.

ყველაფერი, რაც დღეს ხდება ევროპის საქართველოში შემოთრევისათვის — არის უნიჭო და უპა-

თოსო განმეორება ძველის. ამას გადავატანეთ წარსული ოცი საუკუნე.

უფრთხილდეთ მეორე ორი ათას წელს. გვეშინოდეს მომავალის. თუ ქართული ტვინი არ გათბა ამ ახალ საუკუნეთა სიცხეში. თუ ჩვენი თესლი არ ჩაითესა ახალი ეპოქის გაზაფხულზე. თუნდაც სისხლად, — საქართველო გათავდება უკანასკნელი სიკვდილით.

საქართველოს ბედი და მისი გზები თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში: „წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებ". ესაა მეტაფიზიკა ჩვენი წარსულის.

დღეს ნერვიულად ამოძრავდა მსოფლიო ბედისწერის სეისმოგრაფი. საჭიროა გრძნობა მასზე უმეტესი. რომ წავიდეთ იმ გზით, სადაც „არ ვინანებთ".

ვინ იზიმს ამას? სადაა ცეცხლის სვეტი, რომელსაც გაჰყვება ერის ვარსკვლავი და ქართული მიწა— ქარის ალმით გაკაჟებული.

ესაა თემა. ეს თემა ეძებს განაღდებას მოქმედებაში.

2

დავუბრუნდეთ ისევ ევროპაში. თუ დროა ვიფიქროთ განშორებაზე. გაყრაზე. მაშასადამე. იდეურ დაპირისპირებაზე ევროპასთან? საქართველოსთვის ეს საკითხი პირველად ყოვლისა არის საგანი აქტიური პოლიტიკის. მაგრამ ამ ნიადაგზე არსებული აზრთა ბრძოლა საქართველოში მიმდინარეობს შეურაცყოფილი ფსიხოლოგიის ფარგლებში და სცდება

ისტორიულ პერსპექტივის ობიექტიურად გაგების გზებს.

ამ დიდ კითხვას ხელოვნურად შეხურებული ქართული ტვინი მხოლოდ მაშინ დასძლევს, თუ ის გადალახავს იმ ავადმყოფ გრძნობას, რომელიც დასწოლია დღეს საქართველოში ყველაფერს. და როცა ამ ძველ პერანგს საქართველო შემოიხევს, — მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება დაისვას პრობლემა საკუთარი კულტურის ფეხზე დაყენებისა და. ამნაირათ. ჩვენი ეროვნული გზების ახალი მიმართულებით გამართვის შესახებ.

არაა საჭირო დიდი ხნით შეჩერება საკითხის ასეთ პოლიტიკურ მხარეზე, რამდენათაც პოლიტიკა ვუშინდელი ბელადების ხასიათდებოდა ბატონის მაძიებელ ყმის ფსიხოლოგიით. ასე იყო ძველათ. ეს მეორდება დღესაც. ჩვენს დროში კი საკითხი ევროპასთან პოლიტიკური ერთობისა იმ ხაზით. რომელზედაც ოცნებობდა ძველი საქართველო უკანასკნელ დრომდე. — უნდა მოიხსნას ერთხელ და სამუდამოთ. არა იმიტომ. რომ ეს შეუძლებელია. არამედ უმთავრესად იმისთვის, რომ დღეს ამას აღარ აქვს ისტორიული გამართლება და კიდეე იმიტომ. რომ ეს გზა საზარალო გამოდგა ჩვენთვის.

ძველათ სწამდათ. რომ ხსნა იყო ევროპაში. ჩვენს დროში-კი ეს უკვე აღარავის აღარ სწამს. მაგრამ პოლიტიკა ამ ნიადაგზე მაინც იქმნება.

დღეს ევროპაში საქართველო აღარავის აინტერესებს. როგორც საგახი რომანტიული მსურველობისა და მევობრობის. და ვინც ფიქრობს დღევანდელი მდგომარეობიდან „თავის გამოძვრენას", უნდა

დაფიქრდეს იმაზედაც, თუ სად შეჰყოფს თავს ამ გამოძვრენის შემდეგ.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში ეროვნულის თვალსაზრისით უნდა აღიარებული იქნას სრულიად მისაღებ პოლიტიკურ ბაზად. ეს უნდა იქნეს ფსიხოლოგიურათ შეთვისებული, სავსებით დაძლეული. ამ საკითხს დღევანდელის მიმწვავით ქართული ეროვნული აზროვნება არ უნდა დაუბრუნდეს მომავალში, — ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რეალური, უფრო კონკრეტიული მიზნებისაკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე.

რაც არ მოხდა ისტორიულად — ეს უკვე ვიცით. რაც მოხდა — ეს უნდა შევაფასოთ.

3

ძველი რუსეთი მოისპო და თუ სადმე უნდა გათბეს გაციებული გული ლენინის, — ეს უნდა მოხდეს დაჩაგრულ ერთა მზის ქვეშ.

ბევრია ურწმუნო და ბევრი ფიქრობს საბჭოების გარდაცვალებაზე. ბევრი უარყოფს ბევრ რამეს, მაგრამ ყოველგვარ უარყოფის შემდეგ ერთი რამ მაინც რჩება საბოლოო: — გაღვიძება და ამოძრავება ერებისა. იმპერია დაიღუპა. დაირაზმა ერები. უნდა ვეცადოთ ამ რაზმებში ვიქნეთ პირველი.

ეს უნდა იყოს დღეს ეროვნული პოლიტიკის მთავარი ხაზი საქართველოში. ამას უნდა მოხმარდეს ამოძრავებული ეროვნული ენერგია და თუ დღეს იგი ამოძრავებული არაა, — ამის გულისათვის იგი უნდა ამოძრავდეს. ესაა უპირველესი მოვალეობა

ყოველი კულტურული ქართველისა დღევანდელ დროში. და თუ საქმე მიდგება ანგარიშზე (რომანტიკას ჩვენ. რასაკვირველია, უარვყოფთ), აქაც ვიანგარიშოთ.

4

თუ მართალია ის, რომ ევროპის იდეური შინაარსი გამოშრა, თუ მართალია კრიზისი თანამედროვე ცივილიზაციის, — მაშინ უნდა ვიფიქროთ მომავალი კულტურს ახალ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და შესახებ იმისა, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საქართველო ამ ახალი ეპოქის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

მე განგებ ვახსენებ სიტყვას „კულტურის გეოგრაფიული ტერიტორია", რადგანაც ფაქტი კულტურათა მოძრაობის ყოველთვის დაკავშირებული იყო ამ კულტურათა გეოგრაფიული ცენტრების გადაწევგადმოწევაზე. ხოლო ეს მოძრაობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ცენტრის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ამ საკითხის შესახებ არსებული თეორია შესაძლებლად ხდის აღვადგინოთ ყოფილ კულტურათა მოძრაობის ხაზი და გავითვალისწინოთ ამ კულტურის მიმდინარეობის მომავალი გზები.

წარსულ კულტურათა მსვლელობის ხაზი: ნინევია; (მოსსული) ბაღდადი; ეგვიპტე; (კოსსეირი); კრიტოსის კულტურა, ტროია; ათინა; რომი; ჰალლია—პარიზი — ბრიუსელი ბრიტანეთის კუნძულები: ირლანდია; ლონდონი; ჰულლი; ედინბურგი; ბერგენი; ქრისტიანია; პარალელურათ გზის გადაზნექა გერმანეთისაკენ...

ესე იგი: — ათასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე კულტურის საბინადრო იყო გეოგრაფიული ტერიტორია საშუალო წლიური სითბოთი +20° და ზევით; ქრისტეს დაბადების ეპოქაში კი: +15° და ზევით; ქრისტეს დაბადებიდან მეათასე წლამდე + 10° და მეტი; მეათასე წლიდან ჩვენ დრომდე — + 5 გრადუსი და ზევით.

ასე იყო დღემდე. ეს გზა ახასიათებდა კულტურათა მიმდინარეობას დღევანდლამდე. და რამოდენადაც ეს წესი მეფობდა ამ საუკუნეთა განმავლობაში, ძნელია ამთავითვე მტკიცება იმისა, რომ ძალები, რომელნიც ამოძრავებდენ კულტურათა გზებს წარსულში. მომავალშიაც არ წარმართავენ მას იმავე წესით. და თუ ეს შესაძლებელია მომავალშიაც. მაშინ ხომ კულტურა მესამე ათასი წლისა ქრისტეს შემდეგ. დაჰფარავს გეოგრაფიულ მიდამოს საშუალო წლიური სითბოთი 0 ახლო. ესე იგი მთელი აღმოსავლეთი ევროპა. ციმბირი, ჩრდილოეთი ამერიკა...

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის თანამედროვე კულტურა არის ყველა აქამდე არსებულ კულტურაზე უნივერსალური, რომ დღევანდელმა ტეხნიკამ ეს კულტურა გააბატონა არა მარტო განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. არამედ მთელს მსოფლიოზე. ამ კულტურამ შესვა და შეითვისა ყველა აქამდე არსებულ კულტურათა ხასიათი; დაჰფარა მთელი პლანეტა თვისი გაელენის ძლიერებით და, ამრიგათ, თანამედროვე კულტურის მატერიალურმა ენერგიამ თითქოს დაანგრია ყოველგვარი კანონი კულტურათა მოძრაობისა, თითქოს შეუძლებლად გახადა შესაძლებლობა ახალი გზების აღმო-

ჩენის და გამართვისა. ამ მოსაზრებით, ევროპა თითქოს კიდევ გაუძლებს იმ ახალ ისტორიულ ძალებს, რომელნიც ამოძრავდებიან მომავალში და რომელნიც წარსულში ამოძრავებდენ კულტურათა გზებს. მაგრამ მიმდინარე ეპოქა გვეუბნება ხომ სულ სხვა რამეს. ჩრდილოეთი ამერიკა ხდება მსოფლიოს გეგემონათ. შეიძლება ვაღიაროთ ამერიკისა და ევროპის კულტურული ერთფეროვნება, ტრადიციულობა. მაგრამ შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ ამერიკანული კულტურა მიდის განსაკუთრებული „რეალიუციონური" ნახტომებით და ამ ინტენსიურ, განვითარებაში ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია ჩრდილოეთ-ამერიკის მკაცრი ბუნებაც (+0"); ეს ბუნება ქმნის რკინის ადამიანს სულ სხვა, ახალის ტრადიციით და ინიციატივით.

მეორეს მხრივ შეუძლებელია გვერდი აუხვიოთ დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ევროპის მნიშვნელობას მსოფლიოს დღევანდელ ცხოვრებაში. დღეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპას უკავია ცენტრალური მდგომარეობა, დღეს იგი იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, და აქედან მძლავრად ამოქმედებულმა კომუნისტურმა მოძრაობამ დღეს დაჰფარა თავის მნიშვნელობით ყოველგვარი იდეოლოგიური მოძრაობა მსოფლიოში. ჩვენ მოწამე ვართ უცნაური მოვლენისა, როცა ჩვეს თვალწინ მატერიალისტური რაციონალიზმი გადადის თიოქმის რელიგიურ პათოსში. და დღეს გარეშე მდგომ ადამიანსაც კი სჯერა, რომ აქამდე წყეული ხე „ცსოპადისა, კეთილისა და ბოროტისა" მართლაც

აყვავდება ცხოვრების ხედ, რადგან ახალი სული, ახალი რწმენის პათოსი დღეს ურტყამს მიუღწეველ და დღევანდელი გარკვეულ კაცობრიობისათვის წარმოუდგენელ საზღვრებამდე.

ეს ხდება არა დასავლეთში, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში და ის, რაც დღეს ხდება რუსეთის რევოლიუციის ტერიტორიაზე, სწორედ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენის ფიქრით უნდა გადაიქცეს მომავალი კულტურის ფუძეთ, — დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დასავლეთი კულტურის დღევანდელ ობიექტიურ შინაარსს.

აქაა დასაწყისი დღევანდელი კულტურის გადმოხვრისა და გადმოთესლებისა ჩვენსკენ. აქედან იშლება ბრწყინვალე პერსპექტივა ჩვენი მომავალის და სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ „ისტორია ურახუნებს ჩვენს კარებზე“. ნუ ვიუკადრისებთ, თუ ის მოგვეევლინა მათხოვარის სახით.

5

დღეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა, რომ ჩვენში დამკვიდრდეს ეს გრძნობა ახალის მოლოდინისა და შეგნება, რომ ამ ახალის ქმნაში ისტორიამ საქართველოსაც დააკისრა საპატიო როლი. დღეს ამ გრძნობის შექმნა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენში. ამის შემდეგ კი თავისთავად ამუშავდება აზროვნება, რაც გამოიწვევს საქმეს და საქციელს და რაც ლოლიკურად მიგვიყვანს იდეათა ფაქტიურ რეალიზაციამდე.

6

თუ მომავალი კულტურის ცენტრად გადაიქცევა აღმოსავლეთ-ევროპის ტერიტორია — ე. ი. რუსეთის

დიდი რევოლიუციის საბინადრო — მაშინ ჩვენ უნდა აღვიაროთ რომ ამ მომავალი კულტურის ნიადაგი არაა ერთნაირი. ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ბინადრობს მრავალი ერი, რომელთა კულტურული გზები სულ სხვადასხვანაირია: აქაა შეჯგუფებული ერთის მხრივ მაქსიმუმი ენერგიისა, რომელიც ერთ დროს აღწევდა თავის განვითარების მწვერვალებს, მეორეს მხრივ სულ ახალი, აუმოძრავებელი ძალები. რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ციმბირი, თურქესტანი, აზერბეიჯანი... ეს გეოგრაფიულად და რასიულად სხვადასხვა ელემენტები, ერთის იდეითა და ახალი ისტორიული ინერციით შეერთებული, — პერსპექტივაში გვიხატავს წარმოუდგენელ შემოქმედებითი შესაძლებლობას და ახალი ეპოქის მიღწევანი შეიქმნება ამ ხალხთა თანასწორი მონაწილეობით. ეს იქნება არა რუსული კულტურა, არა კულტურა რომელიმე სხვა ერის, არამედ საერთო მიღწევა ყველა ხალხების, ჩამდგარის ერთ მთლიან საკაცობრიო გზაზე, მაგრამ ამავე დროს ეროვნულად გამაგრებულის, ეროვნულად აღფრთოვანებულის. ცხადია, დღევანდელი დასავლეთის კულტურა იქნება ამ მომავლის მასალა.

ჩვენ, კავკასიის ერებს, კერძოთ ქართველებს ამ ნიადაგზე გვეშლება განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა. ეს ასპარეზი გვეშლება არა მარტო დღევანდელ საკავშირო ფედერაციის ფარგლებში, სადაც ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს მისა, რომ ვიდგეთ პირველ რიგებში, არამედ აზიის მიმართულებითაც. და ჩვენი კულტურული მისია წითელ აზიისაკენ აქედანვე უნდა აფიქრებდეს ყოველ შეგნებულ ქართველს.

დღეს ჩვენ დაბრმავებული ვართ მეშჩანური ქადაგებით. რევოლიუციამდე რევოლიუციონერები — ჩვენ რევოლიუციის შემდეგ რაღაც ფილისტერული ფსიხოლოგიით გავიჟღენთეთ. ჩვენ გვინდა შემოვზღუდოთ საქართველო ჩინურის კედელით და ყოველი უცხოელი ჩვენს ქვეყანაში მიგვაჩნია შეურაცხმყოფელად. ეს მეშჩანური ფსიხოლოგია, რომელიც გამოწვეულია სივრცისა და ფართო ასპარეზის შიშით — უნდა მოისპოს. უნდა ავმოძრავდეთ, გავბედოთ, გადავეშვათ ახალი ეპოქის ქარიშხლიან ზღვაში და შევქნათ გონებისა და ენერგიის დულილი ჩვენს მიწა-წყალზე.

გვახსოვდეს, რომ ცოცხალთათვის არაფერი არაა სავალდებულო ერთის გარდა — ის, რაც დღემდე თქმულა და გაკეთებულა კაცობრიობის წინსვლისათვის, დღეს არ კმარა. ყოველმა თაობამ უნდა მიუმატოს ამ საქმეს და ამ სიტყვას თავისი წილი აქტიურობისა. დღეს-კი, მოქმედებისა და ფაქტების საუკუნეში, ცოცხალი საქართველო მოითხოვს ჩვენგან დიდ მსხვერპლს.

ეს მსხვერპლი ჩვენ უნდა გავიღოთ. ამას მოითხოვს რეალურად გაგებული ინტერესები საქართველოისა და ლოლიკა მიმდინარე საუკუნის.

ბეთლემის ლურჯი ვარსკვლავი ქრება და კარგავს სიმხურვალეს. ამოდის სხვა ცეცხლოვანი ვარსკვლავი მსოფლიოზე, რომელიც ანათებს ჩვენთვის დიდ შესაძლებლობათა გზებს.

„ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.

გავყვეთ მას,



ოგოლი ოცნება

ᲝᲒᲝᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲒᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 1924.

შეიძლება საქართველოში ბევრს ეუცხოოს ეს წერილი. ჩემი მეგობრები, თუ ასეთები კიდევ დარჩა პოეტებში, ალბად ელიან სიტყვას პარიზზე. დანარჩენებს კი ევროპაში გასული ყოველი ქართველი ემიგრანტი ჰგონიათ და ჩემი გამოსვლა კომუნისტურ პრესაში და ისიც ასეთ ნერვიულ დროს, — უსათუოდ „ღალატად" მოეჩვენებათ.

მაგრამ არის წუთები, როცა გაჩუმება და გვერდზე გადგომა დანაშაულია და მოვალეობა მოქალქის ვალდებულად გვხდის ეს დანაშაული არ ჩავიდინოთ. ამიტომ ჩემი პირველი სიტყვა პარიზიდან არის პოლიტიკაზე — საქართველოსათვის. საქართველოში კი მე ვიცნობდი პოეტებს, სტამბის მუშებს და სოფლის კაცებს.

მე გამახარებს ათი წუთი მათი ყურადღებისა. მე არ მინდა დავაჯერო ვინმე, ან ძალით გავასაღო ჩემი აზრი. ყველაფერი უნდა ითქვას გულახდილათ და გარკვევით. დასკვნა კი დარჩეს საკითხად წამკითხველის ნდობისა.

დღეს მინდა გიამბოთ საქართველოში მომხდარ უკანასკნელი ამბების შესახებ და მის გამოძახილზე ევროპაში. მაგრამ ჯერ — ორიოდე სიტყვა წარსულიდან.

სამ წელზე მეტია, რაც ქართული ემიგრაცია „იბრძვის" და ყოველგვარი საშუალებით სცდი-

ლობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში. არიან დღეს — და უფრო მეტი იყო წინეთ — ისეთები, ვისაც ევროპის იმედი აცოცხლებდა, ვინც ფიქრობდა ჟორდანიას ტრიუმფით დაბრუნებაზე და სწამდა, რომ „კეთილშობილი ევროპა შეისმენდა ქართველი ერის გოდებას“ და მისცემდა ყოფილ მთავრობას რეალურ შესაძლებლობას „დემოკრატიული რესპუბლიკის“ აღდგენისათვის. ასე ფიქრობდა არა თუ „დემოკრატიულად“ და „პატრიოტულად“ განწყობილი მოქალაქე, არამედ ამ რწმენაზე აშენებდა საქართველოს მომავალს ბევრი ცნობილი ქართველი მოღვაწეც. იქმნებოდა ჭორი, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობდა საბჭოთა მოწინააღმდეგე ელემენტები და ამ ნერვიულ დაუდეგარ ატმოსფერაში მზადდებოდა ნიადაგი პროვოკაციისათვის.

რა ხდებოდა ამ დროს ევროპაში? როგორი იყო აქაური სინამდვილე და ჰქონდა რაიმე ნიადაგი ასეთ ხმებს?

უნდა ითქვას გადაწყვეტით: არავითარი ნიადაგი.

ყველაფერი ეს იყო სიცრუე, თავის მოტყუილება და შეგნებულად შეცდომაში შეყვანა მათი, ვინც ცაშორებული იყო ევროპის სინამდვილეს. არავითარი „შველა“ ევროპიდან არ იქნება. ამ აზრისაა ყველა — ვინც საქართველოდან ფეხს შემოდგამს უცხოეთში; ამის შეგნება შეიძლება საქართველოშიც, თუ ადამიანი სავსებით არაა გაყრუებული „მრავალ-ჟამიერის“ ღრიალით და გაბრუებული „ყარამანიანის“ კითხვით.

რა არის მიზეზი ასეთი „უიმედო“ შეხედულებისა ევროპაზე? მხოლოდ ფაქტები. და როს ეს ფაქტები დაინახო — საჭიროა სულ მცირეოდენი წარმოდგენა უცხოეთის შესახებ.

ფიქრი იმაზე, რომ აქ ვინმეს „შეეცოდება“ მენშევიკები, ყოვლად შეუძლებელია. ბურჟუაზიულ ევროპაში იყიდება ყველაფერი და როდესაც ლორდ ნორტკლიფი — ორასი გაზეთის პატრონი ინგლისში — ამბობდა: „შეიძლება ყოველი ადამიანის ყიდვა, მხოლოდ საჭიროა იცოდე, ვის რა შეაძლიოვო“, — ეს იყო არა მარტო პარადოქსი, არამედ ევროპიელი „ბიზნესმენის“ (საქმისკაცის) პრაქტიკული ფორმულა.

თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპა წააგავს წურბელას. ის გაუმაძღარი, შეუბრალებელი და ძახთაპირი, ეძიებს მხოლოდ ლამაზ სიტყვებს თავისი ბარბაროსობის და სიმახინჯის გასამართლებლად. გაუპატიურება უკანასკნელი იდეის, ცინიზმი, მისული ქამობამდე, — აი სახე ევროპის მაღალი პოლიტიკისა, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა დასავლეთში. „ყველაფერი ნებადართულია“, — სმერდიაკოვის ეს ძველი ფორმულა დღეს გადაიქცა ბურჟუაზიული ევროპის სახარებად.

— „თუ ჩვენ გვიყვარს საფრანგეთი, და ვიცავთ საფრანგეთის უზენაეს ინტერესებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვემსახურებით კაცობრიობას“-ო. — ამბობს პუანკარე. და ჩვენ ვიცით, თუ რა ზომებს მიმართავდა იგი საფრანგეთის ამ „მაღალ და უზენაეს ინტერესების“ დაცვისათვის.

— „რომ დაიქცეს მთელი ქვეყნიერება ბრიტანეთის გარდა, კაცობრიობის ცხოვრებაში არ შეიცვლება არაფერი" — ასეთი პლაკატი რამდენიმე კვირის წინეთ გამოფენილი იყო ლონდონში ერთ დიპლომატიურ ბანკეტზე, სადაც ტოლუმბაშობდა თვით პრემიერი მაკდონალდი.

ზედმეტია გავიმეორო ათასჯერ თქმული სიტყვები, მაგრამ მაინც საჭიროა მოვიგონოთ ზოგი რამ, რადგანაც საქართველოში თურმე კიდევ მოიპოვება ისეთები, რომელთაც სწამს, რომ ინგლისი, ან საფრანგეთი, ან რომელიმე დიდი სახელმწიფო, თავს გადადებს საქართველოში „დემოკრატიის" აღდგენისათვის და იარაღით ხელში გამოასწორებს საბჭოთა ხელისუფლების ისტორიულ უსამართლობას".

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ საბოლოოდ უნდა იქნეს ცხადი ყველასათვის: „საჩივრები" ევროპისაკენ არის დამღუპველი ქართველი ხალხისათვის. ნურავინ ნუ ფიქრობს, რომ ევროპას შეუძლია ვინმე გაასამართლოს, რადგან ის თვითონ სდგას სასამართლოს წინაშე და უეჭველია, — განაჩენი იქნება საშინელი და ულმობელი ბურჟუაზიულ ევროპისათვის. ვისაც უნდა, შეუძლია არ დაუჯეროს კომუნისტურ პრესას, როცა იქიდან ისმის სიგნალები ბურჟუაზიულ დასავლეთის „ოლვევის" შესახებ, მაგრამ უსმინოს თვით ბურჟუაზიულ მწერლებს მაინც, როცა ისინი დასტირიან საკუთარ სიღატაკეს, საკუთარ აღსასრულს, საკუთარსავე ლეშს.

შეიძლება ჭკუაზე შეიცვალოს პიროვნება, მაგრამ შეუძლებელია გადაირიოს მთელი ქვეყანა.

და გადარევაზე მეტი ხიფათი მოგველის ჩვენ, თუ საბოლოოდ არ აშოიძირა საქართველოში ეს გაუმართლებელი ოცნება და სავსებით არ გადაშენდა ხალხი, ვისაც ევროპისკენ უჭირავს თვალი და „ევროპისკენ ორიენტაცია" ეროვნულ საქმეთ მიაჩნია.

მე შეგნებულად ვსტოვებ განზე ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს და ხაზს უსვამ მხოლოდ ერთს: გაკეთდა თუ არა ყოფილი მთავრობის მიერ ევროპაში ეს „ეროვნული საქმე" და შეუძლია თუ არა ქართველ კაცს, რა რწმენისა და მიმართულებისა არ უნდა იყოს იგი, ნდობით და „იმედით" უყურეს „ჩვენების" საქმიანობას დასავლეთის ქვეყნებში.

გადააავლეთ თვალი ამ „საქმიანობას", გაითვალისწინეთ ამ „ბრძოლის" შინაარსი და შედეგები საფრანგეთში, ინგლისში, რომში. მეორე ინტერნაციონალ'ში, რითი თავდება იგი?

თავდება საშინელი დამარცხებით ყველა ფრონტზე და ყველა იმედების გაცრუებით.

ჩვენთვის, ვისაც გვაინტერესებდა ქართული კულტურის ამაღლება და საქართველოს ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენება, ამ ბრძოლის ფინალი თავიდანვე აშკარა და ცხადი იყო. მაგრამ შელახული თავმოყვარეობა, — პიროვნული და პარტიული, — აბრმავებდა ბევრს და ეს ხალხი დღემდის ვერ განკურნებულა ამ დამღუპველ ბრაზისგან. უდიდესი პატრიოტული საქმე, თუ კი ვისმეს უნდა ეს სახელი დაიმსახუროს, — არის დღეს ამ

ბრაზიანი ხალხისაგან ჩამოშორება და შეგნება იმისა, რომ საქართველოს აღორძინება და მისი კულტურულ-ეკონომიური განვითარება სავსებით შესაძლებელი და მოსახერხებელია საბჭოთა სისტემის საშვალებით, საბჭოთა რესპუბლიკათა რუსეთთან ფედერაციის გზით.

ბევრს შეიძლება არ მოეწონოს ეს აზრი. შეიძლება „შელახული ეროვნული თავმოყვარეობა" ხელს უშლიდეს ამ დასკვნამდე მისვლას, მაგრამ ასეთებმა უნდა შეიგნონ, რომ მეოცე საუკუნეში ორბელიანების გრძნობებით ვერ ვიცხოვრებთ და ყოველგვარი განუხორციელებელი პრეტენზიების დანერგვა ხალხში — ვინც არ უნდა სცდილობდეს ამას — დღეს უნდა იქნეს მიჩნეული ხალხის ღალატად და ასეთივე მსჯავრი უნდა მიიღოს ყველამ, ვინც მუდამ უკან იხედება.

ასეთ „იმედებს" კი აგერ სამი წელიწადია იძლევა ყოფილი მთავრობა ევროპიდან და რამდენადაც ეს „იმედები" გახვეულია ეროვნულ ფრაზაში, იმდენათ ესაა ღალატი სწორეთ ამ ეროვნული საქმის და ეროვნულად განწყობილი ხალხის.

ლმობიერი მსაჯული აქ მონახავდა რამდენიმე თბილ სიტყვას მენშევიკური ემიგრაციის სასარგებლოდ, რომ საქმე გვქონდეს მართლა ეროვნული ინტერესების სამსახურთან. მაგრამ ეს არაა: მენშევიზმი ევროპაში აწარმობს ბრძოლას არა საქართველოსათვის, არამედ საქართველოს სახელით მენშევიზმისათვის და საქართველო აქ არის მხოლოდ ერთი საშვალებათაგანი ბოლშევიზმთან ბრძოლაში.

ეს საკითხი სავსებით უნდა გაითვალისწინოს სა-

ქართველოში ყოველმა მოქალაქემ, რადგანაც ესაა სინამდვილე და რამდენად გულწრფელია ჟორდანიას განცხადება ევროპაში, რომ „დამოუკიდებლობა ჩვენთვის არაა ფეტიში, ეს მხოლოდ პარტიული ტაქტიკის საკითხიაო“ — იმდენად ნათელია, რომ ბრძოლის მთავარი პუნქტი არის არა „საქართველოს განთავისუფლება“, არამედ საპროგრამო რევანში ბოლშევიზმთან.

და რამდენად ეს ასეა, იმდენად მენშევიკური მოძრაობა ევროპაში და ამ „მოძრაობის“ გამოძახილები საქართველოში შეუძლებელია ჩაითვალოს ეროვნულ საქმედ.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი, დავუჯეროთ და ბრმათ გავყვეთ ნოე ჟორდანიას და წერეთელს. მაგრამ ვიფიქროთ ერთი წუთით, რომ მენშევიკური ემიგრაციის საქმე „კეთილად გათავდა“. რა ფასით მოახერხებს ყოფილი მთავრობა „საქართველოს განთავისუფლებას“. რა ფასით? რადგანაც ფასს მოითხოვს არა თუ „დემოკრატიული“ ინგლისი და საფრანგეთი, ფასს მოითხოვს თვით მეორე ინტერნაციონალი, რომელშიაც ამდენი ხანია ცოდვილობს ბ-ნი წერეთელი. ეს ფასი იქნება საქართველოს მიწა-წყალის საესებით უცხოელი კაპიტალისტების და ამ კაპიტალის მსახურთა ხელში ჩაგდება, მაგრამ ჩვენ ვიცით კოლონიალური მმართველობის წესები ინდოეთში, სირიაში, მაროკკოში, ტუნისში და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ევროპის სახელმწიფოები ამ რეჟიმს შესცვლიან საქართველოში და ჩვენთვის უარყოფენ ექსპლოატატორულ წესებს.

დღეს ფრანგულ მაროკკოში საფრანგეთი აწარმოებს ომს. იქ ამბოხებაა საფრანგეთის წინააღმდეგ და სწორედ ამ დღეებში დაიბეჭდა განსვენებული პიერ ლოტის ეგზოტიური წერილები, სადაც ავტორი ამბობს, რომ „ფრანგებია უკულტურესი კოლონიზატორები ქვეყანაზეო". თუ ფრანგები უკულტურესი და ჰუმანური კოლონიზატორებია და მაროკკოში მაინც სისხლი სდის — რა უნდა ითქვას ინგლისზე, ან ლოტის აზრით, რომელიმე ნაკლებად „კულტურულ" სახელმწიფოზე.

ნუ თუ ამ ფასით საჭიროა ყიდვა საქართველოს „განთავისუფლების" და ნუ თუ ესაა ხელსაყრელი „ქართული ეროვნული ინტერესებისათვის", რომელზედაც ამდენს გაიძახიან მენშევიკები ევროპაში? რასაკვირველია, არა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყოფილი მთავრობის ლოზუნგი მაინც ერთი და იგივე რჩება: „მოვიდეს თუნდ ეშმაკი, მხოლოდ ბოლშევიკები წავიდენ საქართველოდანო". ემიგრაციაში არიან ისეთებიც, რომ საქართველოსკენ ოსმალოს ეპატიჟებიან და ამისათვის პრაქტიკული ნაბიჯებიც კი იდგმებოდა.

ცხადია, ეს წყალწაღებული ხალხი დღითი დღე სცილდება საქართველოს მშრომელი ხალხის ნიადაგს და თანდათან ააშკარავებს თავის საიდუმლო მისწრაფებას — აღადგინოს მენშევიზმი, რა ფასითაც არ უნდა იქნეს: თუნდაც ეშმაკები, მხოლოდ არა ბოლშევიკები.

ამ სიტყვებით პირდაპირ ვებჯინებით პირადი თავმოყვარეობის საკითხს და გამოვდივართ მაღალი სიტყვების სფეროდან, მაგრამ ფრჩხილების გახსნა

ზედმეტია, რადგანაც ცხადია — თუ ბოლშევიზმთან ბრძოლაში შეიძლება მიჰყიდო ეშმაკს სული, იქ საქართველოს მიფუჩეჩება და მშრომელი ხალხის ინტერესების ჩოთქიდან გადაგდება — არც ისე ძნელი საქმეა.

ეს აშკარად დაგვანახვა უკანასკნელმა ამბებმა საქართველოში და, რადგანაც ამ საქმის კულისები აქ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, მოკლეთ შევეხები ამ მაგალითსაც.

იდეა შეიარაღებული აჯანყებისა საქართველოში განსაკუთრებით გაცხოველდა ამ უკანასკნელ წელიწად ნახევრის განმავლობაში. საქმის პრაქტიკულად დაწყებას წინ უსწრობდა „დიპლომატიური" ნაბიჯები პარიზში, ლონდონში, მცირე ანტანტას კარზე და სხვ.

დიპლომატიურმა ცდამ რაიმე რეალური შედეგები არ მოიტანა.

რომმა საბჭოთა კავშირი იცნო და მაჩაბელმა დასტოვა იტალია.

ოსმალეთში დიდი ხანია დაიხურა ქართული საელჩო და გვარჯალაძე შეიქნა უბრალო მოქალაქე.

ასეთივე ამბავი მოხდა ბერლინში, სადაც, როგორც ნოე რამიშვილმა განაცხადა ერთ საზოგადო კრებაზე, „ჩვენმა ამხანაგებმა, გერმანიის ს.-დ. ჩვენ პირდაპირ გაგვყიდესო".

მენშევიკური ლიდერების ტურნეს პოლონეთში, ესტონიაში. პრაგაში, ჟენევაში არ მოყვა რაიმე რეალური შედეგი.

დარჩა ორი მეგობარი — მეორე ინტერნაციონალის ბელადი, ბათუმის საპატიო მოქალაქედ გი-

ზო ანჯაფარიძის მიერ არჩეული და საქართველოში ნაპუტმარილევი — მაკდონალდი და ედუარდ ერრიო, რომელიც ერთი წლის წინეთ თანაგრძნობას აფრქვევდა „ერ-ნუველის“ ფურცლებზე თავის „დემოკრატიულ“ მეგობრებს.

მესამე მეგობარი — ვანდერველდე ვერ იცლიდა თავის ამხანაგებისათვის: პირადი საქმეებით დატვირთულია იგი დღეს. როგორც უდიდესი მრეწველი ბელგიაში და უამრავი ქვა-ნახშირის მეპატრონე — ის მილიონობით ითვლის რუბლიდან წანაგლეჯ მადანს და სდგამს ქვანახშირის შავ მთებს, რომელთა წვეროში ყივის თეთრი პლაკატი: „მწარმოებელი ვანდერველდე“. როცა საქმე მილიონებზეა მიმდგარი, იქ ძველი პუტმარილის მოგონებაც სუსტობს.

მე არ ვიცი რა იყო თქმული წერეთელსა და მაკდონალდ შორის მათი შეხვედრის დროს საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციის წინა დღეებში. ესაა „დიპლომატიური საიდუმლოება“, მაგრამ ენშეიკური თარგმანი და ახსნა ამ საიდუმლოების გავრცელებულია ევროპაში. ეს საიდუმლოება გადაითარგმნა ასე: მოაწყვეთ აჯანყება საქართველოში, ჩაიგდეთ ძალა-უფლება ხელში, თუნდაც ცოტა ხნით, და...

რა იყო ამ „და...“-ს იქით არავინ იცოდა, მაგრამ „მეგობრული რჩევა“ მაინც მიღებული იყო. დანარჩენი ეკიდა ბედზე.

განმეორდა ვიზიტები ერრიოსთან და „ბედის გადასაწყვეტად“ მიცემულ იქნა სიგნალი. თქვენ იცით, რომ საქართველოში ჩამოვიდა საამისო შტაბიც — .

„დაკვრის“ მოსაწყობათ. ჟენევაში კი დაჯდა ჩსენ-
ელი, რომ ერთა ლიგის სესიას დახვედროდა ახალი
ამბებით.

ეს „დაკვრა“ და ეს ახალი ამბები ყველამ იცით.
იცით აგრეთვე თუ რა პრაქტიკული შედეგი მოყვა
ამ საქმეს საქართველოში. ევროპაში კი მთავარი და
უდიდესი მიღწევა იყო ერთა ლიგის რეზოლიუცია
შემდეგი შინაარსის: „კარგი იქნება, რომ საქართვე-
ლოში სისხლი არ დაიღვაროსო“.

ეს იყო და ეს.

მაკდონალდი წარსულ კვირას წაბრძანდა სააგა-
რაკოდ და მისი ყურადღება ეხლა მიქცეულია არა
საქართველოსკენ, არამედ „ბისკვიტის ქარხნის აქ-
ციებზე, რის შესახებაც ასეთი ხმაურობა ასტეხეს
ინგლისელ გაეზთებმა და მეტად უხერხულ მდგომა-
რეობაში ჩააგდეს პრემიერი.

ერრიო გაბმულია პარიზისა და ლიონის შუა და
ოფლში იწურება „საფრანგეთის უზენაესი ინტერე-
სების გულისათვის“.

მომენშევიკო გაზეთები უკვე ტონს იცვლიან და
სწერენ, რომ „დიდის სიფრთხილით უნდა დავაფა-
სოთ ქართული ლეგაციის (წარმომადგენლობის)
ცნობები, რადგან, როგორც ეტყობა ამბებს შეუბრა-
ლებლათ აჭარბებენო“.

შეიძლებოდა კიდევ ბევრის თქმა, ბევრი მაგალი-
თის და ამბის გამოყვანა, რომ საქართველოში არ
მომხდარიყო ყოველ მაგალითზე მჭევრმეტყველი
ფაქტი — იზოლიაცია მენშევიკური ავანტიურისა.
მისი ფინალი და სრული უნიადაგობა პარიზში შედ-

გენილი სტრატეგიული გეგმების თქვენ ყველამ დაინახეთ.

ყოველივე ეს უნდა გვახსოვდეს და პასუხი უნდა გავცეთ მათ. ვინც დაღუპვისა და განადგურებისაკენ მიერეკება ქართველ ხალხს და თავის საეჭვო მისწრაფებათა (მენშევიზმის გამარჯვება) განხორციელებისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდება.

საქართველოში მომხდარ ამბებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოსპონ ყველა ილიუზიები და საბოლოოდ გამოაფხიზლონ „ევროპის“ მოიმედე, ობოლი ოცნებით შეპყრობილი ელემენტები.

ჩვენი საქმიანობა ქართველი ხალხის წინსვლისა და მისი მომავლის ძებნის გზაზე — უნდა ჩადგეს რეალობის ფარგლებში, უნდა გამოიკვეთოს ერთ საერთოდებულო შეგნება, რომ ძველი გზები და, განსაკუთრებით პოლიტიკური გზები „ევროპისაკენ“— დამღუპველია და სავსე უფსკრულებით.

ქათველმა მუშებმა და ყოველმა მშრომელმა საქართველოში, არ უნდა დაივიწყოს რომ მენშევიზმი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, დასრულდა საქართველოში, ამოიწურა იდეურად და გამოიფიტა. მან ვერ მონახა გამოსავალი იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც დაუყენა მას წინ საქართველომ, ისტორიამ, პროლეტარიატმა. ამ წინააღმდეგობაში ფართხალობს იგი 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ და მაგალითები, როგორც „დემოკრატიული“ რესპუბლიკის“ ეპოქიდან, ისე მას აქეთ მიმდინარე წლებისა, გვიმტკიცებენ ამ მკვდარი ლეშის გაცოცხლების შესაძლებლობას.

მენშევიზმის „გაახალდაგზრდავების ექსპერიმენტები ძლიერ ძვირად უჯდება საქართველოს. არც „ეროვნული“ მიქსტურა, არც სოცალისტური რეცეპტები აღარ მოქმედობენ მასზე. ეს გაცვეთილი ტანსაცმელი აღარ იღებება არც ერთ ფერში.

დროა ამ ძველი პერანგის გამოცვლისა. საჭიროა ვავყვეთ სხვა გზებს.

ახალი საქართველო

ახალი საქართველო

პარიზი, ნოემბერი 1924.

ოცი წლის წინედ დიდმა ქართველმა კაცმა პირველად დასდგა პარიზში ქართული სტამბის დაზგა. როდესაც დღეს შევდივარ ძველი „საქართველოს" სტამბაში, ვხედავ მოძველებულ ასოებს და ვკითხულობ „საქართველოს" გაყვითლებულ ფურცლებს, — განვიცდი უცნაურ გრძნობას, რომლის გადმოცემა მეტად ძნელია.

ერთის მხრივ — აჩრდილი ვეშაპი იმპერიის, გუბერნატორები და გუბერნიები, მიტინგები „პოლიგონის" შესახებ და ბრძოლა ქართული ენის ლეგალიზაციისათვის საქართველოში; მეორეთი კი — ლაკონიური, მაგრამ ეროვნულ მისწრაფებათა მაქსიმალურად გამომხატველი სიტყვა—„ავტონომია"..

რომ ჩვენ არ ვიყვეთ პირადი მოწმე ამ ოცნებისათვის ბრძოლის, რომ ასე ცხადად არ იდგეს თვალწინ გუშინდელი დღე და ისტორია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების, — შეიძლებოდა გვეთქა, რომ ჩვენს „მამებს" არ ქონდათ არც დიდი ფანტაზიის ძალა და არც პოლიტიკური აზროვნების უნარი.

მაგრამ ისტორია ჯერ კიდევ არ დაშუშებულა, ბევრი წელიწადი ქართული აზროვნებისა მოხმარდა ამ ოცნებაზე ფიქრს და თუ იგი დღეს გვეჩვენება ასე ფრთაშეკვეცილ და ღარიბ ფორმუ-

ლად, — სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ თავის დროზე ეს იყო გმირობა.

ჩვენ მოვალე ვართ პატივისცემით აღვნიშნოთ ეს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა აღვადგინოთ ისიც, რომ ქართული ეროვნული აზროვნება ოქტომბრის რევოლუციამდე ამ გულუბრყვილო ლოზუნგებზე შორს არ წასულა. პირიქით, ეს ლოზუნგიც კი ჩვენში დაუმუშავებელი და შეუთვისებელი დარჩა.

საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ თაობა, რომელიც სათავეში უდგა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას 1921 წლის თებერვლამდე, გამოსადეგი დარჩა მხოლოდ ჯორჯაძის ამ ფორმულის ვიწრო ფარგლებისათვის და ამაზე მაღლა ვერ წავიდა ვერც ამ თაობის პოლიტიკური გამჭრიახობა, ვერც მისი პრაქტიკული საქმიანობა. შეიძლება გულახდილად ვსთქვათ, რომ იდეა საქართველოს სახელმწიფოებრივობის — არაა ამ თაობის აზროვნებისა და ორგანიული მოქმედების ნაყოფი.

ქართულ ეროვნულ აზროვნებას და მით უმეტეს მენშევიკურს, არაფრით არ დაუმსახურებია ფაქტი „დამოუკიდებელ საქართველოს“ არსებობისა. ეს არ იყო არამც თუ ახლო მიზანი, — უკიდურესად ნაციონალისტური მეოცნებეც კი არ მიდიოდა ამ საშიშ საზღვრამდე.

პრეტენზიები გამოჩნდა სულ ბოლო დროს, მაგრამ ძველი თაობა მაინც ვერ შეეგუა უხერხულს და იდეურად მისთვის ჯერ კიდევ დაუძლეველ როლს-ქართულ სახელმწიფოს მმართველობისას.

ჩვენ გვახსოვს 1918 წელი, როცა საქართველოს დ. მოუკიდებლობის გამოცხადება მიჩნეულ იყო ეროვნულ იდეალის განხორციელებად კი არა — არამედ როგორც მარცხი, როგორც იძულება და უბედურება, განსაკუთრებით მათ მიერ, ვინც შემდეგ დაესაკუთრა საქართველოს სხეულს და მონოპოლია აიღო პატრიოტის ყოველგვარ გრძნობებზე

რასაკვირველია, ქართულ ცხოვრების თვალსაზრისით 1918 წლის საქმესთან ისტორია შეჩერდა, ისტორია უთუოდ იყო, მაგრამ იყო, როგორც ფატალობა, როგორც შემთხვევა და არა როგორც ფინალი თაობათა შეგნებული მოქმედების და გარკვეული მიზნისათვის ბრძოლისა.

ეს უნდა იქნეს აღდგენილი დღეს მაინც. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას და განსაკუთრებით მათ, ვისაც ამ ფატალურმა შემთხვევამ გაუფუჭა პოლიტიკური უნარი და გადააკიწყა ამბავი გუშინდელი დღის. ეს უნდა გაიხსენოს ყველამ, ვისაც სურს იფიქროს დღევანდელ ჩვენს ყოფაზე და იმ დიდი პოლიტიკური რეალობის შესახებ, რომელსაც ეწოდება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა. საჭიროა გონს მოსვლა. საჭიროა დღეს მაინც გასწორდეს პერსპექტივა და გამთელდეს უუნარო აზროვნება, რომელიც გაირყვნა და წახდა იმით, რომ ჩვენი უფროსი თაობა დააბრმავა წუთმა.

ჩვენთვის კი დღეს ამის გახსენება ხდება სავალდებულოდ, როცა შორეული ცის ქვეშ ჩვენ განვაგრძობთ ფიქრს საქართველოზე, და პარიზში მეორეჯერ გამოდის ქართული გაზეთი. ასეთ შემთხვევაში ძალაუნებურად მოდის მოგონება პირველის;

გინდა შეათვისო წარსული თანამედროვე სინამდვილესთან, მაგრმ ისტორიული ცოდვები ჩვენი „ბელადების“ სდგას, როგორც ბარიერი და ცხადი ხდება, რომ ამ პირველს დღევანდელ დღესთან არ აერთებს. არავითარი თანდათანობითი, ლოღიკურად განვითარებული ტრადიცია. და იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა ქართული აზროვნებისათვის დღემდე რჩება ჯერ კიდევ დაუმუშავებელ, დაუპყრობელ პრობლემად.

ცხადია, ჩვენ გამოგვეპარა აზრი ოქტომბრის დიდი რევოლუციის და მნიშვნელობა ზამთრის ღამეებისა 21 წელში. ჩვენმა უფროსმა თაობამ გამოიჩინა სულმოკლეობა დიდი მსოფლიო მოვლენების წინაშე და ჩაგვიტოვა ხელში ანგრეული ოჯახი, მოშლილი აზროვნება, გადაჭრილი ტრადიციები და გაცვეთილი ლოზუნგები. არავითარი გარკვეული გეზი „დამოუკიდებელ“ საქართველოს არ ქონდა. ჩვენ გამოვდიოდით ყოველთვის სხვის ხარჯზე და არ ვიცოდით რას გვიზამდა სხვალინდელი დღე, რა იყო სახვალიო კონკრეტული პროგრამა. შემთხვევით შობილი — „დამოუკიდებელი საქართველო“ ფართხალობდა მუდამ შემთხვევათა წრეში. სდიოდა ღელე დოგმატიურ ფრაზეოლოგიისა, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ვერ ითქვა ვერც ერთი ფრაზა საისტორიოდ.

საკითხი გადაჭრა სხვა ძალამ მეორეჯერ: ოქტომბრის გამარჯვებამ რუსეთში და შემდეგ საბჭოთა წყობილების გამოცხადებამ საქართველოში.

მას შემდეგ გადის მეოთხე წელიწადი, — ახალი თაობა ფიქრობდა, რომ „მამები“ ნახავდენ გამოსა-

ვალს, გადაარჩენდენ, როგორც საკუთარ თავს, ისე იმ ლოზუნგებს, რომელნიც გადაეცა ძველ სახელებს. მაგრამ ეს არ მოხდა. ეხლა არაა საინტერესო, — არ ქნეს მათ ეს საქმე, თუ ვერ მოახერხეს. არის მხოლოდ ფაქტი, რომ ეს ძველი გათავდა. გამოშრა ძველი ლოზუნგებიც და მათ შორის მოკვდა — უმთავრესი: „ჟორდანიას საქართველო". სიკვდილმა ფაქტიურათ და ალეგორიულად გააცივა ეს ფრონტი ყოველ მხრივ.

სანტიმენტალობა კმარა. ახალი თაობა ვეძებთ სიცოცხლეს, სარბიელს, საქმეს. და ჩვენ გვინდა ვქნათ ის, რაც არ ქნა, ან ვერ ქნა ძველებმა — შეგნება და შეთვისება მისი რაც მოხდა; მოხდა კი ის, რომ ოქტომბერმა საბოლოოდ და რადიკალურად გადასჭრა ეროვნული საკითხი და არა მარტო საქართველოს მასშტაბით.

ესაა ერთის მხრივ მიზეზი, რომ ჩვენ დავარღვიეთ ქართული ასოების მყუდროება, — ჯორჯაძის შემდეგ რომ სდუმდენ პარიზში. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ქართველ მშრომელ ხალხს შერჩეს ის, რაც დღეს მას ხელში აქვს: ხალხური რესპუბლიკა თანასწორთა შორის. (ქართველი ხალხისათვის ეს არაა ბევრი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ „ძველი ბელადების" ჭკუასა და პოლიტიკურ ტაქტს — ეს შეიძლება ნორმაზე მეტიც იყოს).

ამიტომ ჩვენ მთელის პოლიტიკური შეგნებით ვღებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდაო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის.

ჩვენი მიზანია — ვემსახუროდ ამ აზრის პოლიტიკურად განმტკიცებას, მის გატანას და გაშლას ქართველი ხალხისა და იხტელიგენციის ყველა წრეებში.

ჩვენ გვწამს, რომ ხვალინდელი დღე, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს იგი — ვერ დაარღვევს, ვერ გააქარვებს არსებულ სინამდვილეს, რადგანაც საბჭოთა საქართველო არაა ქაჩალი კონფერენციების მიერ შექმნილი გეოგრაფიული ტერმინი. მისი მომავალი გადაჯაჭვულია დიდი პროგრესიული მსოფლიო მოვლენის მსვლელობაზე და აწი შეუძლებელია საქართველოს უფლებრივი ცხოვრება შეტრიალდეს ისე, როგორც დაიხა და დაიშალა „ფაქტიური“ და „იურიდიული“ აქტები „კეთილშობილი“ ევროპისა.

არსებობს მხოლოდ ერთი გეზი, ერთი რეალობა და ვისაც სწამს და სურს ქართველი ხალხის მომავალი, ის სრულის შეგნებით და კეთილშობილობით უნდა შეუდგეს ამ გზას—საბჭოთა საქართველოს სამსახურისას.

ჩვენ ყაზმუხეგი

ჩვენ და სომხები

პარიზი, 1925.

ამას წინად ერთ თავის წერილში ამხანაგი კახიანი გაკვრით შეეხო ამ საკითხს და ხაზი გაუსვა იმ არა ნორმალურ ატმოსფერას, რომელსაც ქმნის ზოგიერთი ქართული წრეები სომხების წინააღმდეგ. ამხანაგი კახიანი სრულად სამართლიანად შენიშნავდა, რომ საკითხის ისე ნერვიულად დაყენება, როგორც ამას შვება დაინტერესებული ქართული მხარე — შეუძლებელია და მიუღებელი.

დღეს მეც მინდა შევჩერდე ამაზე და შევეხები ამ კითხვას არა მმართველი პარტიის თვალსაზრისით, არამედ როგორც მოქალაქე. რომლის სიტყვა, შესაძლებელია, უფრო გასაგები დარჩეს ხსენებულ დაინტერესებული წრეებისათვის.

სიტყვა „სომხური საფრთხე" ნაციონალისტურ ინტელიგენციის შორის დღეს მართლაც აკტიურ ლოზუნგათაა გადაქცეული. ზოგს ეს საკითხი გულუბრყვილოდ აწვალებს. ზოგი კი სცდილობს მის გამოყენებას არაკეთილშობილურის მიზნით. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს კითხვა კითხვადვე რჩება, საქმეა მხოლოდ მის გადაჭრასა და ჯეროვანად მიდგომაზე.

ვფიქრობთ, სჯობს ეს ოპერაციაც დროზე იქნეს მოხდენილი. ხოლო საუკეთესოა, თუ თვით ჩვენ, ქართველ მოქალაქეთა მასსა, ავიღებთ თავზე ამ საკითხის ჩვენ შორისსავე მოგვარების ინიციატივას და მის უმტკივნეულოდ გადაჭრას.

დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება და სომხობაც ხელს შეგვიწყობს ამ საქმეში და რამდენადაც შესაძლებელია შეეცდებიან იმ ღრუბლის გადაფანტავს. რომელიც დღეს ჩრდილს აყენებს ჩვენსა და სომხობას შორის მდებარე სამეზობლო გზებს.

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების საერთო ხაზი—კავკასიაში მშვიდობიანობის დამკვიდრებისათვის. უთუოდ უნდა იქნეს აღიარებული, როგორც ერთად ერთი საღი გეზი. მაგრამ, რამდენადაც საქმე შეეხება ზოგიერთს ნიუანსებს, ერთგვარ ატმოსფერულ ფსიხოლოგიას, რომელიც, ხშირად იქმნება თავის-თავად. საერთო კალაპოტის გარეშე—იმდენად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხელი შეუწყოთ ამ ფსიხოლოგიის მონელებასაც. ამ ნიუანსების ჩამოშორებას და ამოშრობას.

ჩვენ კი. ქართველები, ჯერუტი ვართ სწორედ ამ წერილმანებში და განსაკუთრებით თუ საქმე ეხება თაყვანისცემას, ან ტრადიციას — სხვისი ალარ გვჯერა.

საჭიროა თვით დავაჯეროთ ჩვენივე თავი, დავაჯეროთ ერომანეთი. მე მგონია, რომ ის ინტიმური თემა. რომელიც სდგას ამ წერილის სათაურად, მოითხოვს სწორედ ასეთ „ჩვენ შორის" ლაპარაკს.

მე დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ ჩვენსა და სომხებს შორის ურთიერთობის საქმეს. ხშირად მქონია საუბარი სტამბოლში. ბერლინში, პარიზში ამ საგანზე როგორც ქართველებთან, ისე სომხებთანაც. თითქმის ყოველი ჩემთან მოსაუბრე ქართველი იმეორებდა ერთსა და იმავეს: „სომხობა საშიში შეიქნა", „ჩვენი გზები დაშორდენ ერთი მეორეს"-ო და სხვა.

მოვიყვან აგრეთვე ერთ მაგალითს, — ზოგიერთების სულიერი განწყობილების დამახასიათებელს. ერთმა ემიგრანტმა გადასწყვიტა საქართველოში დაბრუნება. საჭირო ყოფილა ესა და ესო, მითხრა მან. მე ძზათა ვარ ყველაფრისთვის, მხოლოდ სომხებთან არ მივალო. „რისთვის, მეთქი, რა გიშავს?" — არა, მაგას, ვერ ვიზამ. ბარემ ქართველი კაცი ვნახოვო". და მიასო ამას ფეხი.

ქართველი ასე სახელდახელოდ ვერ მოინახა და იმ დღის შემდეგ ემიგრანტიც მიიმალა...

რაშია საქმე, სად იბადება ასეთი განწყობილება, რაა ამის მიზეზი?

მე არ შეუდგები ამის განხილვას, მხოლოდ გავაცნობ მკითხველს იმ არგუმენტებს, რომელზედაც „ქართველი პატრიოტები" ამყარებენ თავიანთ მსჯელობას შესახებ იმისა, თუ რატომ შეიქნა სომხობა „საშიში".

„ძველათო, — ამბობენ .ისინი, სომხობასთან ასე თუ ისე მეგობრობა გვქონდა, ეს მეგობრობა ქართველებს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მიუხედავათ იმისა, რომ სომხური ბურჟუაზია მუდამ აგრესიული იყო და მეთოდიურად სცდილობდა ქართული ქონებისა და მიწა წყალის ხელში ჩაგდებას. საბედნიეროდ ეს დრო წავიდა: ბოლშევიკებმა გაგვათანასწორეს ორივე — ქართველებიც გაატყავეს და სომხების ბურჟუაზიაც. მაგრამ სომხობამ თავისი არ მოიშალა და ის, რაც მან ვერ მოახერხა ძველად, ესლა უნდა გააკეთოს ბოლშევიკების ხელით. აქ აღნიშნავენ ძასაც, რომ არსებობს მთელი სისტემა, რომელშიაც ქართველები ჯერაც კი ვერ გამორკვეუ-

ლან. საქმე კი, თურმე, იმაში ყოფილა, რომ ოსმალეთში ყოველგვარ პერსპექტივების დაკარგვის შემდეგ — სომხობამ პირი იბრუნა საქართველოსკენ, რათა დანაკარგის კომპენსაცია მოახდინოს ქართულ ხარჯზე. გარდა ამისა სომხეთი ყოველთვის იყო რუსეთის ფინია ოსმალეთის საზღვარზე და როცა საქართველო რუსეთს დაეტაკა — ეს ფინიაც აყეფდა: ჩემს მეტი ერთგული არავინა გყავს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. რუსეთიც, თურმე, მადლობას უხდის სომხეთს — ქართულ ხარჯზე. ზოგიერთის აზრით, იმის გარდა, რომ „ტფილისი ააავსო სომხობამ", კომპენსაცია იმაშიაც გამოიხატა, რომ ქართული ეკონომიური აპარატი უჭირავს ხელში სომხებს და საგრძნობლადაც სარგებლობენ ამით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თურმე ჩეკაც სომხების ხელში ყოფილა, ჩონიც, კომსომოლიც. (ესაა ოსმალელი ობლები).

ეს ხალხი, თურმე, დღითი დღე და შეუმჩნევლად ანხორციელებს საქართველოს შინ და გარეთ ამ სისტემას — ჩვენი ქვეყნის კოლონიზაციისას. მოვა დრო, როცა ერივანის გუბერნიის ორი მაზრა აივსება ოსმალეთიდან გამობრუნებული სომხებით. ეს ტალღა მოაწვება ტფილისს, შემოიჭრება ჩვენს მაზრებში და ერთ მშვენიერ დღეს წავიკითხავთ დეკრეტს საქართველოს საზღვრებში სომხური ავტონომიური რესპუბლიკის დაარსების შესახებ გეოგრაფიულად შემოფარგლული საზღვრებითაო".

აი, დაახლოებით, ქართული „პატრიოტული" მსჯელობა „სომხური საფრთხის" შესახებ. მე ვეხე-

ბი მხოლოდ „აკადემიურ“ მსჯელობას და განზე ვსტოვებ ბევრ რამეს, რისი თქმა ზედმეტია და უსერხულიც.

რჩება საკითხზე მიდგომა ქართული თვალსაზრისით და რჩება საპასუხოდ ერთი ზოგადი კითხვა — გვაქვს თუ არა უფლება ჩვენ, ქართველებს, უკმაყოფილო ვიყოთ სომხებით დღევანდელ პირობებში?

ამ კითხვაზე გადაჭრით უნდა უპასუხოთ, რომ არავითარი უფლება ამისა არა გვაქვს, და აი რატომ.

ღავაკვირდეთ სომხეთის დღევანდელ მდგომარეობას.

სომსებმა დაკარგეს ოსმალეთის პერსპექტივები. ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით ცენტრი გადმოტანილია რუსულ სომხეთში. მომავალზე შეიძლება ბევრი რამ ითქვას. მაგრამ ჩვენთვის სავალდებულოა არსებული. სომხეთის ტრაგედია ოსმალეთში ყველასათვის გასაგები და ცნობილი ამბავია. დაშნაკცუთიუნის პოლიტიკამ გაანადგურა არამც თუ დიდი სომხეთის იდეა. ფიზიკურადაც მოსპო მცხოვრებთა ის კონტინგენტი, რომელიც ანგარიშზე იყო აღებული ამ იდეის განხორციელებისათვის.

სომხეთმა გაიარა დიდი გზა უბედურებისა და ადვილი გასაგებია, თუ ამ ჟამად სომხურ მოღვაწეთა უმეტესობამ თავი დაანება სისხლთან თამაშს და ყველა იმ უნიადაგო დამღუპველ ილიუზიებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამქრალა ჩვენში.

სომხეთის გასაბჭოებამ და ევროპის ღალატმა (სევრის ხელშეკრულობის სიცრუე) საბოლოოდ აუსილა თვალი სომხობას, რომელმაც აშკარად დაინა-

ხა, რომ. თუ სადმე არსებობს ძალა, მისი დამცველი არის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება. სომხეთის მკვდრეთით აღდგინება — საბჭოთა ერთი უკეთილშობილესი ფურცელია და მხოლოდ ამ ფურცლის გადაკითხვაა საკმარისი იმისათვის, რომ საბოლოოდ უკუაგდო ევროპის სინდისი და მართლაც მოკვდე „ზა ელასტ სოვეტოვ". ამიტომ ჩვენთვის გასაკვირალი არ უნდა იყოს კაჩაზნუნი, რომელმაც დაგმო წარსული და იმედით შეხედა საბჭოებს. ამიტომ გასაგებია ჩვენი უნაზესი მეგობარის ოვანეს თუმანიანის სიმბოლიური სიკვდილი მოსკოვში...

საბჭოთა მთავრობა მართლაც რეალური მფარველი ძალაა. პატიოსნად დაინტერესებული სომხეთის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების აღდგენაში და ცხადია. თუ რისთვის ამოუდგა ამ ხელისუფლებას გვერდში მთელი აკტიური სომხობა, განსაკუთრებით კავკასიაში და ამოუდგა ასეთის იმედით. გატაცებით და ერთგულებით.

რასაკვირველია. სომხობას მიეცა დიდი მუშაობის წარმოების შესაძლებლობაც და სომხეთის საბჭოებისადმი ერთგულებამაც ითამაშა როლი. გაუგებარი იქნებოდა. რომ ეს ასე არ მომხდარიყო...

რა ხდებოდა ამ დროს ჩვენში?

იმ დროს. როცა სომხეთის აკტიური ძალები გულმოდგინეთ დაეწაფა თავის ათასჯერ აოხრებული სამშობლოს აღორძინებას — ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობა იხედებოდა შავი ზღვისაკენ. ელოდა ჟორდანიას და ინგლისელ დრედნოუტებს.

ჩვენში არსებობდა დიდი გულგრილობა საბჭოებისადმი. კიდევ მეტიც, საქართველოში სუფევდა

ძტრული განწყობილება საბჭოთა სისტემის მიმართ. ამის მაგალითები ბევრია და მათი ჩამოთვლა ზედმეტია.

ჩვენი ცხოვრება მენშევიკებისა და მათთან მოკავშირე ანტიბოლშევიკური პარტიების მეოხებით ვერ ჩასდგა ნორმალურ მშვიდობიანობის კალაპოტში. ქართველობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, იყო აპატიური, ძუდამ ღრინავდა, მუდამ მიზეზობდა, მუდამ ნერვიული და მიუდგომელი იყო ამ წლების განმაელობაში. ყოველთვის ჭორებით სავსე ტფილისში იქმნებოდა ატმოსფერა დაქაჩული ნერვების, ეს ატმოსფერა სწამლავდა პროვინციას და უსპობდა ხელისუფლებას ყოველგვარ საშუალებას ჩაეყენებინა ცხოვრება მშვიდობიანი აღმშენებლობის კალაპოტში. ქართველი ინტელიგენცია მოღალატის სახელით ნათლავდა ყოველ „მობოლშევიკე" მოქალაქეს, სვამდა ჟორდანიას სადღეგრძელოს და მღეროდა „მზეო ამოდი, ამოდი"-ო. გვავიწყდებოდა, რომ მზე იმიტომ კი არ ამოდის, რომ მამალი ყივა, არამედ უფრო საპატიო მიზეზებისაგან. ავიწყდებოდათ ისიც, რომ გლეხები უდროო დროზე მყივანა მამალს კლავენ.

ბევრს დღესაც არ უნდა გაიგოს, რომ სომხეთის ხალხმა თავისი მზის ამოსვლა ხატისიანის ტურნეებს აღარ დაუკავშირა, რომ ეს მზე მან გადაატარა საკუთარ ზურგსა და სისხლზე და თუ ვინმეა ღირსი იყოს გამთბარი ამ მზით — ამის ღირსი უსათუოდაა სომხეთის ერიც.

ჩვენ კი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით". არსდებოდა პარიტეტული კომიტეტები, იყო საბოტა-

ჟი, მოლოდინი საბჭოთა უფლების დამსობისა და ამბოხებისა. ეს იყო ჩვენი აზროვნების „საქმიანობა" ამ ჩანებში. და ნუთუ დღეს უნდა გვწყინდეს, რომ სომხეთი აღორძინების გზაზე შესდგა იმ დროს, როცა „პატრიოტული" საქართველო ასეთ პოლიტიკაში იყო ჩაბმული.

სომხეთი საბჭოების ერთგულიაო. თუ ეს ერთგულება ასეთი რეალური სარგებლიანობით თავდება, საღ იყო ჩვენი პოლიტიკოსები ამდენ ხანს, რათ არ დააყენეს მათ ასეთივე ერთგულების საკითხი ჩვენი მხრივადაც. თუ ამ ერთგულებას მოსდევს ასეთი საგრძნობელი შედეგები, რომელზედაც ზევით ლაპარაკობენ, ვინაა ის შეშლილი, რომელიც ღალატისა და ავანტიურის გზაზე აყენებს ჩვენ ხალხს და ზეღ ანერგავს მეზობელთა შორის შუღლსა და მტრობას?

ვის რა აწუხებს. ფედერაცია დიდია. ურთიერთშორის ომიდან დაზღვეული ვართ ყველა. არსებობს ერთა შორის ერთი კონკურენცია — კონკურენცია აკტივობის, აღმშენებლობის, კულტურისა და დოვლათის აღორძინების ნიადაგზე. ნუთუ ამას უნდა გაურბოდეთ ჩვენ? ან გვეშინოდეს რისიმე ამ მხრივ? და თუ ერთი მხარე მუდამ გაურბოდა ამ კონკურენციას, რა უფლებით უნდა უსაყვედუროთ მეორე მხარეს, რომ მან ჩვენზე მეტი გააკეთა.

გამოდით მოედანზე. ამუშავდით, და თავისთაკად დაგავიწყდებათ ჭორებიც. ჟორდანიაც, და ცუდათ შედგენილი სიზმრებიც. ეს სიზმრები, რომელნიც ძლიერ იშვიათად მართლდებიან, დღესაც აწვალებს ბევრს და დღესაც ბევრი ოცნობებს წმინდა

გიორგის ღერბზე. ყველაფერი ეს გათავდა. იყო. საჭიროა სინამდვილესთან პირისპირ მისვლა და გაბედვა. ზოგჯერ გაბედულებათ ისიც ჩაითვლება თუ არ შეგრცხვება სხვისი მიბაძვაც კი და შეცდომის აღიარება. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით ადრე გაიფანტება ხრჩოლი სომხოფობური ატმოსფერისა. მით ადრე გაიმართება საქართველოს მთლიანი სახე საბჭოთა ფედერაციის ძლიერებაში.

ეს უნდა იყოს ჩემის აზრით ერთადერთი თვალსაზრისი ამ საკითხში და ეხლა უკვე იმედიანად შეიძლება ითქვას, რომ ქართველობა ამ გზას დაადგება. რაიცა შეეხება სომხებს. მე მგონია, მათ შესახებ გავრცელებული ჭორი ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ სომხობა, გუშინდელიც და დღევანდელიც ყოველთვის თვალყურს ადევნებდა ჩვენი ცხოვრების თავისებურ პირობებს. ყოველთვის ანგარიშს უწევდა მას და ყოველთვის დაინტერესებული იყო ჩვენსა და მათ შორის კეთილგანწყობილებით, რადგანაც კავკასიის გეოგრაფიის უცნაურობა ყველაზე კარგათ ვიცით ჩვენ და სომხებმა; ეს გეოგრაფია ბევრს რამეს გვავალებდა და გვავალებს უფრო ბევრს, უპირველეს ყოვლისა კი ნებაყოფლობითი მეგობრობას. ამ ლოიალობის გამოჩენა განსაკუთრებით საჭიროა დღეს. როცა საქართველო შეიძლება მართლა ბევრ რამეში შეცდა. საჭიროა ამ შეცდომებზე წინდახედული და მორიდებული ლაპარაკი. რომ ზოგი ჭრილობა ადვილად განიკურნოს.

▽▽▽

მწერლობა და საზოგადოებრივობა

მწერლობა და საზოგადოებრივობა

ტფილისი. ივნისი 1926

დღეს ქართული მწერლობა გაერთიანებული გამოდის საზოგადოების წინაშე. და ამ უკანასკნელს უფლება აქვს იკითხოს — რამ გააერთიანა მწერლობა საქართველოში. რისთვის გაერთიანდა იგი და რა გზისაკენ მოუწოდებს ხალხს ქართული მწერლობა.

ჩვენც ვალდებული ვართ პასუხი გავსცეთ ამ კითხვას ნათლად და პირდაპირ.

ჯერ საკუთარ, სპეციფიურ საკითხის შესახებ.

„იმპერატორები ვერ უკვდავყოფენ პოეტებს, ხოლო პოეტებს შეუძლია უკვდავყონ იმპერატორები“. ეს ძველი თქმულებაა და მას მიემატებოდა ბევრი ძველი და ახალი თქმა, დამამტკიცებელი მისა, რომ პოეტობა, მწერლობა, ხელოვნად ყოფნა არის ნიჭის და არა მდგომარეობის საქმე. და რამდენადაც ეს ასეა, შეუძლებელია ვინმე გახდეს მწერლად უმაღლესი განკარგულების ძალით, ან ამავე განკარგულებით ვინმეს ჩამოერთვას ტალანტი მწერლისა და ხელოვანის.

ძნელარქია სდევნიდა ტოლსტოის და მის ნაწერებს. მან დააბრმავა კატორღაში დოსტოევსკი. მანვე დასაჯა პუშკინი. რესპუბლიკა სდევნის რომენ როლანს და იგივე ნათლავს მოღალატედ ანრი ბარბიუსს საფრანგეთში. მაგრამ ეს ოდნავ არ ამცირებს მათ ნიჭს და მათ მნიშვნელობას საკაცობრიო ლიტერატურაში.

რევოლიუციამ თავი მოკვეთა ანდრეი შენიეს, მანვე დაუდგა გილიოტინა ლაუაზიეს, მაგრამ პირველს არ წაერთვა პოეტის სახელი, მეორე დარჩა ძეცნიერად დღემდე.

დაპირისპირება ტალანტების და მათი შებრძოლება საინტერესოა. პროგრესია. ძალადობა და ნიჭი გაურბიან ერთმანეთს. მათი დაპირისპირება არა ნორმალური ამბავია. რეგრესია კულტურისთვის.

თუ ასე დავაყენებთ მწერლის და საზოგადოდ ხელოვანის შემოქმედებითი მუშაობის კითხვას, მაშინ უნდა მივილოთ მწერალის მიმართ საჭიროება შემოქმედების თავისუფალი თვითგამორკვევის. მივილოთ ზედმეტობა შემზღუდველი ფაქტორებისა.

რამდენადაც ამ სფეროში ადგილი ქონდა. თუ აქვს. არანორმალურ დამოკიდებულებას. (დიდ გადატეხებს ეგ სჩვევია) ეს არანორმალური მდგომარეობა საჭიროა დაძლეულ იქნას. ეგ დღეს შესაძლებელია. უპირატესობა ნიჭს და არა ორგანიზაციულათ შეკავშირებულ უნიჭობას. პირობები ამ ნიჭის გამოჩენისა და განვითარებისათვის.

ამიტომაა საჭირო შემოქმედებათა ჭიდილი. და ამ ხაზით არა გაერთიანებაა საჭირო. არამედ შეჯიბრება. არა ერთფეროვანება. რამედ მრავალნაირობა და სხვაობა. ამ მიმართულებით ძნელიცაა მწერლობის გაერთიანება.

საჭიროა ვეძიოთ სხვა. არა ინდივიდუალური ასპარეზი დაახლოებისა და გაერთიანებისათვის. ჩვენთვის, ქართველი მწერლებისათვის. ეს ასპარეზი ნახულია, მხოლოდ დღეს ამ ადგილს უნდა გამოჩინება, გაწმენდა, გაფართოება, რომ ადვილი დასანახი

გახდეს იგი ამ ბურუსიან დროში როგორც თვით მწერლობისათვის, ისე ქვეყნის თვალში.

ამ ასპარეზს ჰქვიან—სამშობლო და კაცობრიობა.

ამ ასპარეზზე ეტეოდა დღემდე მსოფლიო ხელოვნება და სხვა, ახალი მოედანი ნიჭის გამოჩენისა და მსხვერპლის ჯერ შემოქმედისთვის არ აღმოჩენილა.

შეიძლება ითქვას, რომ მწერალი, ხელოვანი, არაა ვალდებული ორგანიზაციულად ჩაებას ისეთ საქმიანობაში, რომელსაც ის პიროვნულადაც ასრულებს და ანხორციელებს თავის შემოქმედებით. მაგრამ აქ ისმება საკითხი მეორენაირი ვალდებულების.

როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ საზოგადოება, ხალხაუფლება. ეპოქა. ანგარიშს უწევდეს ნიჭიერებას, ტალანტს, შემოქმედს და აყენებდეს მას თავისუფალ განვითარების პირობებში; როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ ასცდეს გიღიოტინა როგორც შენიეს და გუმილიოვს, ისე პუშკინს. — ხომ უნდა გვქონდეს სათანადო პასუხი, როცა ამავე დროს მოგვაბრუნებენ იმ ფაქტებისაკენ, რომელნიც ამოძრავებენ იმავე ეპოქას და რომელნიც ქმნიან ამ ეპოქის შინაარსს. ჩვენ საქართველიანთ მიგვითითებენ ამ ფაქტების დიქტატურაზე და კიდევაც რომ ეს ასე არ მოხდეს. ჩვენ არა გვაქვს ზნეობრივი უფლება გავექცეთ მათ და ამ ფაქტებს არ გაუწიოთ ანგარიში. და რამდენადაც ეს ფაქტებია სოციალური. საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი ხასიათის. იმდენად მწერლობაც ვალდებულია გამოეხმაუროს მათ საზოგადოებრივად. მოქალაქეობრივად. კოლექტიურად. სხვა დროს შეიძლება ლოლიკა ასეთგვარი მუშაობის

არ იყო მობჯენილი მწერლობაზე ისეთი სიმწვავით. მაგრამ ჩვენ ვიცით.. რომ ასეთ მოვალეობის აღსრულებაში თვის დროის წინაშე მაინც შთაინთქა დიდი პოეტური ნიჭი ილია ჭავჭავაძის და საზოგადოებრივმა ბრძოლამ გაანახევრა ჩვენი დიდი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებითი პოტენცია. ვინაიდან შეუძლებელია, დანაშაულია, მწერალმა ზურგი შეაქციოს ქვეყნის ტკივილებს. ეს ტკივილები მრავალნაირი და მრავალფეროვანი იყო საქართველოში და არის დღესაც. ცხადია. მწერლობას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური. ინერტიული ეპოქის და ხალხის წინაშე. მას არ შეუძლია უსტვინოს მარტო „ტკბილ ხმაზე". როცა საუკუნე ბღავის ბრძოლის საყვირებით.

და ქართული მწერლობა სცდილობს მოისადოს ეს მძიმე მოვალეობა მოქალაქის. განსაკუთრებით მძიმე მას შემდეგ. რაც ჩვენ მოვექციეთ დიდი რევოლიუციის გავლენის სფეროში, რაც საქართველოში მოკვდა ძველი საზოგადოებრივობა, რაც დაეცა და წახდა მწერლობის წონა და მნიშვნელობა საქართველოში. რაც გაიზნიქა და გატყდა ჩვენი ეროვნული აზროვნების ტრადიციული ღერძი.

აშიტომ იყო. რომ 22 თებერვალს მწერლობა მივიდა გაერთიანებულ ყრილობაზე, სადაც იგი შეეცადა გამოერკვია თავისი დამოკიდებულება რევოლიუციისადმი და საერთოდ აეწონა თავისი თავი.

აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოქალაქეობრივი. სახელმწიფებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი. აქ განცხადებულ იქნა, რომ მას, ქართულ მწერლობას,

არც იმდენი სადაო აქვს რევოლიუციასთან. როგორც ამას ფიქრობდა ბევრი. ყრილობაზე ითქვა სრულის პასუხისმგებლობით, რომ ოქტომბრის რევოლიუცია ქართულ მწერლობას მიაჩნია პროგრესიულ მოვლენად, რომ ქართული მწერლობა შეეცდება ამ მოვლენის გაღრმავებასა და განმტკიცებას, რათა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილი ურთიერთობა წარმაროულ იქნას ავრეთვე საქართველოს სოციალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ განვითარებისაკენაც. მწერლობამ გამოსთქვა სურვილი ამ მიმართულებით ორგანიული მუშაობისა და აღიარა, რომ ამ მუშაობას ის მოიაზრებს კულტურულ, საზოგადოებრივ საქმიანობის გამოცოცხლების ფარგლებში, ვინაიდან პოლიტიკურად. საკავშირო კონსტიტუციის სფეროში. ხელისუფლებასთან არავითარი სადაო მწერლობას არა აქვს. მწერლობამ პირველად აღძრა საკითხი ასეთი მუშაობის ფაქტად ქცევისა, თავს იდო ეს საქმე და ამით. შეიძლება ვსთქვათ, პირველად ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ საზოგადოებრივობას.

და დღეს ქართული მწერლობა იწყებს მის რეალიზაციას, რაც ლიტერატურის და პოლიტიკის მხრივ გამოთქმული იყო თებერვლის ყრილობაზე. იწყებს, როგორც მოაზროვნე მოქალაქე. იმ სურვილით, რომ შემოქმედებაშიაც არ გაექცეს აღებულ ხაზს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება ჩვენი თაობის ქართველ მწერლისათვის შეათანხმოს გრძნობა და აზროვნება, პოლიტიკა და შემოქმედება.

▽▽▽

ფიქრები ქართულ ენერლოგიაზე

ფიქრები ქართულ მწერლობაზე

ტფილისი. იანვარი 1927.

არასოდეს ჩვენი მწერლობა არ ყოფილა ჩავარდნილი ისეთ წინააღმდეგობათა ხვეულებში, როგორშიაც დღესაა მოქცეული.

ქართული მწერლობის მდგომარეობა დღეს იმდენად რთულია და ამავე დროს ისეთის ლოღიკით არის შემოფარგლული მისი განვითარების პერსპექტივები, რომ ხშირად ამ საგანზე მეტად „მელანქოლიურ ფიქრებს" ეძლევი და ძალაუნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ქართული სიტყვის ახალი რენესანსი ჯერ კიდევ ახლო არაა.

ჩვენ ყველა აქტიურად დაინტერესებული ვართ ქართული ლიტერატურის, განვითარებით. მაგრამ კალამზე უფრო მჭევრმეტყველად დღეს უბრალო რკინის ლურსმანი ლაპარაკობს. და ფიქრობ, რომ, სანამ ეს ლურსმანი სავსებით არ დაამაგრებს ახალი ცხოვრების უახლოეს პრაქტიკის მიზნებს, — მანამდე მხატვრული კალამი ამ ლურსმანთან შედარებით ყოველთვის სუსტი იქნება.

მართლაც, დავაკვირდეთ დღევანდელ მდგომარეობას.

ქართული მწერლობა იყო პროგრესიული მოვლენა და მისი მოძრაობა სწორხაზოვანი იყო ორ წერტილს შუა: ლიბერალიზმიდან მებრძოლ რევოლიუციონურობამდე მისული.

რევოლიუციის გამარჯვება. გამარჯვება მშრომელი კლასის. იყო უკანასკნელი წერტილი, რომელსაც თავიდანვე ებჯინებოდა ქართული მწერლობის ენერგია.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს იყო ქართული მწერლობის მთავარი ხაზი.

და მართლაც მოხდა ის, რისთვისაც, რუსეთის ხალხის საუკეთესო ნაწილთან ერთად, იბრძოდა მთელი პროგრესიული საქართველო: რევოლიუციამ გაიმარჯვა და გაიმარჯვა, ჩვენის რწმენით, საბოლოოდ.

მაგრამ მწერლობისათვის ამ გამარჯვებას მოჰყვა აქედან ლოგიკურად გამომდინარე ფაქტი: მწერლობას ხელიდან გამოეცალა ძველი თემა. მას გაუტყდა ის სათვალე, რომლითაც იგი უცქეროდა ცხოვრებას მრავალი ათეული წლების განმავლობაში.

ამრიგად, მწერალი და ცხოვრება, ორივე ბრძოლის ფინალის მიხედვით იდეალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი, — გაშიშვლებული დადგენ ერთი-მეორეს წინაშე. ცხოვრებას მიეცა ახალი აზრი და შინაარსი. მწერლობას გამოეცალა ძველი აზრი და ძველი შინაარსი. ახალი სინტეზისათვის დროა საჭირო.

დამნაშავის ძებნა აქ ზედმეტია.

ეს მოხდა რუსეთში და ეს განმეორდა საქართველოშიაც იმ განსხვავებით, რომ ამას ჩვენში, დაემატა ზოგიერთი ადგილობრივი თავისებური მოვლენა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე საქართველოში.

მაგრამ რუსეთში მწერლობამ მაინც შეიგრძნო რევოლიუციის გამარჯვების პათოსი, — საქართვე-

ლოში კი მწერლობა. უკანასკნელი წლების ახალგაზრდობის გამოკლებით, თაეის შემოქმედებაში ამ გამარჯვების შეგრძნების გარეშე დარჩა, და ეს გრძელდება დღემდე.

თუ მართალია, რომ მწერლობა არის მიმდინარე ცხოვრების სარკე, — მაშინ თანამედროვე ქართული მწერლობა არ ყოფილა ღირსი იმ მოქალაქისა, რომელმაც აჩვენა მსოფლიოს ჯერ უნახავი სოციალ-პოლიტიკური გარდატეხა. ვინაიდან მწერლობამ თავის შემოქმედებაში ვერ აღბეჭდა ეს პერიოდი. ან და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ჩამორჩენილი ყოფილა თანამედროვე ეპოქის მაჯის ცემას, და ამ ცხოვრებას ვერ შეუქმნია ძლიერი შემოქმედებითი აპარატი ღირსეული მხატვრული ლიტერატურის სახით.

ან ერთია მართალი, ან მეორე, და თუ ეს ორივე დებულება ყალბია, — მაშინ საჭიროა მოვნახოთ კიდევ სხვა რამე მიზეზი, რომელიც ალბათ უნდა ვეძიოთ ქართული სინამდვილის იმავე თავისებურებაში, რაიც ეზვით იყო ნახსენები.

ასეა. თუ ისე — ქართული მწერლობა, როგორც შემოქმედებითი მოვლენა, წინააღმდეგობაში ჩავარდა რევოლიუციასთან, რასაც დღეს თითქმის ალაგი აღარა აქვს რუსეთში.

ქართული მწერლობა ამ წინააღმდეგობათა ხვეულებიდან ვერ გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში. ეს გადაჭრით ითქმის ქართული მწერლობის იმ ფიზიკურ შემადგენლობაზე, რომელიც მწერლის სახელით მოესწრო ოქტომბრის რევოლიუციას რუსეთსა და საქართველოში.

და მე ვფიქრობ. რომ ამ წინააღმდეგობიდან ქართული მწერლობა ჯერ ვერ გამოვა. ვერ გამოვა იმიტომ კი არა. რომ მწერლობას ამ ჩიხიდან გამოსვლა არ უნდოდეს. არამედ იმიტომ. რომ ეს მწერლობა დღევანდელ განახლებულ ცხოვრებას, როგორც ეტყობა, სავსებით ვერ შეეთვისა.

ეს იგივე ავადმყოფობა უნდა იყოს, რომელიც იპყრობს. მაგალითად, — ვადარებ პირობით —ძველ ტერორისტს, რევოლიუციის გამარჯვებამდე რომ თავდავიწყებით ებრძოდა თვითმპყრობელობას, ხოლო რევოლიუციის გამარჯვებისა და თვითმპყრობელობის დაცემის შემდეგ, მან არ იცის რა ქნას, რა გააკეთოს, მისი ხელობა ეხლა ზედმეტი ხდება და იგი შეპყრობილია რაღაც გამოუცნობი „სევდით".

ჩვენ ვხედავთ ამ „სევდას" ქართულ მწერლობაში.

რამდენადაც შესაძლებელია. ჩვენ უნდა დავზოგოთ ასეთი „სევდა" განსაკუთრებით, როცა იგი შეგნებულად არაა მიმართული რევოლიუციის წინააღმდეგ. და თუ ასეთი „სევდა" დღეს დაუშვებელია, — მაშინ „მავრი" უნდა წავიდეს, მაგრამ, ჩემის ფიქრით, მის „დარჩენას" უფრო მეტი აზრი აქვს, ვიდრე „წასვლას": ასეთი წასვლა იქნებოდა ძველი ლიტერატურის ნაადრევი ლიკვიდაცია და, რამდენადაც ახალ-დროის ლიტერატურა მხოლოდ შესაძლებლობაში, მხოლოდ პოტენციაშია, იმდენად შენახვა და მოვლა ამ ძველი ლიტერატურის სავალდებულო უნდა იყოს თვით იმ ხელოვნებისათვის, რომელიც წარმოიშვა რევოლიუციის ხანაში და რომ-

ლის მიზანიცაა გახდეს მომავალში ქართული ხელოვნების ყველა დარგების გეგემონად.

ამ ახალმა ხელოვნებამ ბრძოლით უნდა დაიპყროს ქართული კულტურის პოზიციები ისე, როგორც ეს ქნა პროლეტარიატმა პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების ასპარეზზე. ჩვენ ვიცით, რომ ამ ბრძოლას დიდი ისტორია აქვს, და ამაშია მისი გამარჯვების ძალა და მისი გამართლება.

ბრძოლის ისტორია უნდა ექნეს ახალი ლიტერატურის გამარჯვებასაც. უამისოდ გამარჯვება დამარცხებაზე უარესი იქნება. და, ვინც ასეთნაირ გამარჯვებისაკენ მოუწოდებს ახალ ქართულ ლიტერატურას, — ის უთუოდ ვერ უწევს მას კარგ სამსახურს.

რაიცა შეეხება კითხვას. თუ როგორი უნდა იყოს ახალი მწერლობის ხაზი შემოქმედებაში, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი საქართველოს „მონაბვის" ხაზი აქ უსათუოდ ითამაშებს დიდ როლს და, როდესაც ქართველი მწერლის შემოქმედება სავსებით „მოერგება" საქართველოს სხეულს, — მაშინ იგი მეტის გაბედულებით და შეგნებით გაჰყვება იმ ვარსკვლავს, რომელიც ასე ბრწყინვალეთ უნათებს გზას ოქტომბრის გამძაფრებულ ენერგიას.

ვფიქრობ, ესაა მთავარი ხაზი ახალ ქართული მწერლობის მსვლელობისა.

კიდევ საქართველოზე

კიდევ საქართველოზე

ტფილისი, დეკემბერი 1926.

მე დანამდვილებით არ შემიძლიან ვსთქვა, როდის და როგორ მომივიდა აზრათ ჩემი წერილის გამოქვეყნება. ერთი კია, რომ დიდი ხანია ვგრძნობდი იმ წერილების გამოქვეყნების საჭიროებას, რომელიც მომიწერია უცხოეთიდან ამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა პირებისათვის. ეს საჭიროდ მიმაჩნდა იმიტომ, რომ ყოველი ჩემი წერილი ეხებოდა ერთ საკითხს — საქართველოს. და ეს კითხვა ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად აწუხებს ყოველ ქართველს. რა წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

უცხოეთში ადამიანი ბევრ რამეს სულ სხვანაირად ხედავს, ბევრი რამ სულ სხვანაირად ეჩვენება და თითქო სულ სხვა საზომი ჩნდება ამა თუ იმ მოვლენათა შეფასების დროს.

განსაკუთრებით მწვავეა უცხოეთში ფიქრი საშშობლოზე. კერძოდ — პატარა ქვეყნის შვილისათვის. და მწვავეა ეს ფიქრი მით უმეტეს, თუ ხედავ, რომ შენი ქვეყნის ბედი ქანაობს რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე".

ასეთ მდგომარეობაში ვიყავი მე უცხოეთში 1922 წლიდან და ეს მთავარი ხაზი ჩემი განწყობილებისა ნათელი იყო ყველასათვის, ვისაც მე უნახავარ იმ ხანებში. ევროპაში დარჩენილი ქართველობა

მე კარგად მცნობს და მრავალი შეხვედრა, რომელიც მე მქონია მასთან, გამოწვეული და სავსე იყო სწორედ ამ „ფიქრებით საქართველოზე".

ამ ფიქრებმა შემატყობინა მე ქართველ ემიგრაციას ჩეხოეთში და ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილს აქ, საქართველოში. ამ შემთხვევაში მე გადაწყვეტილია პოლიტიკურმა მომენტმა, ვინაიდან შეუძლებელია მარტო აკადემიური მსჯელობის ფარგლებში დარჩენა ისეთ დროს, როცა მდგომარეობა მოითხოვს ნოქმედებას, აქტივობას და ფიქრების რეალიზაციას. მაგრამ ვინც წაიკითხავს ამ წერილს და საზოგადოდ ყველა იმას, რაც მე დამიწერია, მოიგონებს, რომ ჩემს მოქმედებას ყოველთვის ახასიათებს მხოლოდ გულწრფელობა და პრინციპიალური იგივეობა ჩემს აზროვნებასთან. შემთხვევით მიზეზებს მე არასოდეს არ გავყოლივარ.

და რასაკვირველია, არც ის მოვლენაა შემთხვევითი, რომ ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა საზოგადოებრივობის გადალმა მდგარ წრეებთან შეურიგებელია და ამავე დროს კომუნისტურ პარტიისათვის კი მაინც უპარტიო მოქალაქედ ვრჩები.

ბევრისათვის ეს ამბავი, რომ მე, არა კომუნისტი და ქართველი პატრიოტი, შევები არა კომუნისტებს და თითქოს ქართველ პატრიოტებსავე, გასაკვირალი იყო და მგონი დღემდე ასევე გაუგებარი რჩება.

თავისთავად მე, შეიძლება დიდათ არაფრით განვირჩეოდე ჩემი თაობის სხვა ინტელიგენტისაგან. მე ჩვეულებრივი საშუალო ინტელიგენტი ვარ, მაგრამ მე მგონია, რომ თანამედროობისა და ისტორიი-

სათვისაც სწორედ ისაა საინტერესო, თუ რა აწუ-ხებს ამ საშუალო ადამიანს, რა უნდა მას, საით მიისწრაფვის და რას წარმოადგენს იგი ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში. ამ თვალთახედვით თუ მე, როგორც ადამიანი და მოქალაქე, რაიმე ინტერესს წარმოვადგენ, — საინტერესო ვარ სწორედ ამ ტიპიურობით, იმით, რომ მე ვარ ჩემი ეპოქის ცოცხალი, აფეთქებული დოკუმენტი.

ჩემი „ფიქრებიც საქართველოზე" არის ეპოქის დოკუმენტი. იმ გვარივე დოკუმენტი, როგორიც ვარ თვით მე ჩემის მოქმედებით, შემოქმედებით. ნთელი ჩემი განწყობილებით.

როგორც ტიპიური ქართველი ინტელიგენტი. როგორც ერთგვარი სოციალური კატეგორია, თუ ამ კატეგორიის ნაწილი, მე კარგა ხანია ავადა ვარ. ამ ტკივილით შემოვიარე დასავლეთი, დაუბრუნდი ჩემს ბიწა-წყალს ამ ტკივილით და რა ჩემი ბრალია, თუ ნან ამახმაურა და ამაღელვა?

მაგრამ ბევრისათვის ეს გრძნობა მაინც გაუგებარი შეიქმნა, ბევრმაც მისი ჭეშმარიტად გაგება არ ძოისურვა, ზოგმა კიდევ მომთხოვა ამ გრძნობის ლასაბუთება და უარესი გამარტივება.

გამოდის, რომ ავადმყოფიც მე ვარ, ექიმიც მე ვარ და წამალიც მე ვარ.

ძნელია.

მაგრამ ხდება უარესიც.

2

ბოლოს და ბოლოს რა არის ჩემი „ფიქრები საქართველოზე" და რისგანაა ის გამოწვეული. მე

ლომ მარტო არ ვფიქრობ ასეთ ფიქრებს და მარტო ხომ არა ვარ ასეთ მდგომარეობაში? ინტელიგენციის წრეებში ბევრია ჩემისთანა და ეს მოვლენა სოციალური ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო რუსეთსა და საქართველოში.

მე შევეცდები სქემატიურად შემოვხაზო ის მიდგომა, რომელზეც წარმოიშვა მიზეზი ასეთი განწყობილების.

მე-19 საუკუნის მფლობელი იდეები, რომლებზედაც აღიზარდა ჩვენი თაობა, ინტენსიური ხმარებისაგან ისეთ წინააღმდეგობათა ხვეულებში გაება, რომ წარმოშვეს აუცილებელი კატასტროფა: დიდი ომი მსოფლიოში და დიდი რევოლუცია რუსეთში.

ომმა და, განსაკუთრებით რევოლუციამ, მოითხოვა ასალი ლოღიკა. ეს ლოღიკა შემუშავდა, როგორც აუცილებლობა, მაგრამ ადამიანის ფსიხიკა, მისი ფიზიოლოგიური სტრუქტურა ვერ შეიცვალა.

ადამიანს სჯერა, რომ გუშინდელი ცნება საათობით კარგავს თავის მნიშვნელობას. ადამიანი, რომელიც მოწამე იყო წარსული საუკუნის იდეათა უმაღლესი მიღწევების და რომელიც ამავე დროს მოესწრო დღევანდელ ხანას, ეს ადამიანი მნიშვნელოვნათ შეიცვალა. მან შეიგნო ახალი ეპოქის მიუცილებლობა, ბევრი რამ შეითვისა; ის თითქოს სავსებით „გარდაიცვალა", მაგრამ ამავე დროს ის დარჩა როგორც ცოცხალი ისტორია, როგორც ქრონიკით გადაბეჭდილი გაზეთის სვეტი. მაშასადამე, მასში, მრავალი უჯრედი ჯერ კიდევ ავსებულია სწორედ იმ გადასული, გუშინდელი გრძნობითა და ფაქტებით.

თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ ის მოსწყდა ისტორიას, წარსულს. სჯერა ისიც, რომ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ წარსულის ცოდვებით დატვირთულს, მას ხშირად ერევა მომავლის პერსპექტივა და ხშირად, ასეთი გაქანებული ტემპის დროსაც კი, თვალს გადაკრაავს ხოლმე უკვე შორს დარჩენილ ნაპირებს. ჭკუა მას აჩერებს უკან დახევისაგან, ცხოვრებაც მიერეკება წინ, მაგრამ... მაგრამ -- - ეს ძველი ბარგი!.. რა უყოს ადამიანმა მას, რომ დაბადებიდანვე მიზრდილია მის ზურგზე. როგორც კუზი...

ამდენხანს ამ კუზის გამსწორებლად მხოლოდ სიკვდილი ითვლებოდა. მაგრამ სიკვდილამდე ხომ სწავლობ, სიკვდილამდე ხომ ფართხალობ ადამიანი ამდენ წინააღმდეგობათა ხვეულებში!

დაახლოვებით ასე ხდება გაორება თანამედროვე პიროვნების, ასე იწყება ბრძოლა საკუთარ თავთან და დგება სულიერი კრიზისი ასეთ ნაირად.

ასე იღუპება გარდამავალ ხანაში ადამიანი. იღუპება წარსულისათვის. იღუპება მომავლისათვის.

აქ მთელი საცოდაობა ტრიალებს და რა ჩვენი ბრალია თუ ამით აივსო ჩვენი თაობის შეგნება, განცდა. მთელი მისი აფორიაქებული სიცოცხლე?!

3

ამ ზოგად პირობებს ზედ ერთვის ქართული სპეციფიური სირთულენი.

თუ ევროპაში აზროვნების დისციპლინა ისაზღვრება დიდი ისტორიული პერიოდებით, თუ რუსეთში იგი და მისი რეგულატორი — სოციალური

პაზისი. ასე თუ ისე ხორცშესხმული იყო და მიუხედავათ ამისა ომმა და რევოლუციამ, როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიაც ყველაფერი ყირაზე დააყენა, — რა მდგომარეობა უნდა შექმნილიყო აქ, საქართველოში, სადაც სახელმწიფოებრივობის ტრადიციები ათვისებული გვქონდა, როგორც რომანტიული ამბავი, მეცნიერული დისციპლინა არ არსებობდა სრულიად, ხოლო საზოგადოებრივი აზრი!, მთავარი ღერძი ბრუნავდა ეროვნული მომენტი!, უარისმყოფელ მოძრაობის ენერგიით?

და როცა ასეთნაირად არეული, მოუშუშებელი და მოუმკვიდრებელი სოციალურ - კულტურული ცხოვრება გაეხვია ომისა და რევოლუციის შემთხვეულებათა ქაოსში — ცხადია, არავითარი მთლიანი იარაღი ჩვენ ხელში არ ჩეგვრჩა და რასაკვირველია არ შეგვრჩა არც საღი, მთლიანი აზროვნება.

ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ, როცა ცხოვრებას ოდნავ დაწყნარება დაეტყო და ერის მოაზროვნე ნაწილი მდგომარეობის შეფასებას შეუდგა. მან დაინახა, რომ ბევრი რამ ჩვენ სრულიად არ გვქონია, ბევრი რამ თავიდან ყოფილა დასაწყები და თავიდან ყოფილა დასაწყები აგრეთვე ფიქრებიც საქართველოზე.

ეს უკანასკნელი ფიქრი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უსხეულო, უდისციპლინო თვისების იყო, შეიძლება იმიტომ, რომ ის იყო ყველაზე უფრო სტიქიური, მოუსაზრებელი და ზომიერებას მოკლებული ფიქრი. ხოლო ლიტერატურაში მისი განვითარება ხდებოდა პარადოქსალურის გზებით.

4

ასეთ ბერყევ და ატორტმანებულ ნიადაგზეა აღ-ბოცენებული ჩემი „ფიქრები საქართველოზე".

ჩემს წერილსაც ზევით ნახსენები სტიქიურობა ახასიათებს. იგივე წუხილი. იგივე სიყვარული და პა-რადოქსალობა, როგორიც სუფევდა ამ კითხვის გარშემო ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ვინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთე-ლი, არჩილ ჯორჯაძე, ნოე ჟორდანია, მიხ. წერე-თელი, გრ. რობაქიძე, გერონტი ქიქოძე და ბეკრი კიდევ სხვა არ იყვნენ სიყვარულით მაფიქრალნი სა-ქართველოზე. მრავალი საზომით შეიძლება მათი აზროვნების შეფასება და შეიძლება კიდევ უარყო-ფაც, მაგრამ მათი, ხშირად „მელანქოლიური შენიშ-ვნები" საქართველოზე, ხანდისხან ზედმეტის რადი-კალობითაც გამოთქმული, არ შეიძლება ახსნილ იქ-ნას იმით, რომ ისინი უარყოფდენ საქართველოს.

და თუ ამ იქვიანობას და ზოგჯერ გადაჭარბე-ბულ სკეპტიციზმს, საქართველოს მიმართ ადგილი ჰქონდა ისეთ მშვიდობიან დროს, როცა საკითხი „საქართველოს ბედის" არ შეიძლებოდა ისეთის ენერგიით და სიმკაცრით დასმულიყო, როგორც დღეს — ნუ თუ გასაკვირალი უნდა იყოს ვინმესო-ვის, რომ ეხლანდელ გარდატეხათა ხანაში გაისმას გამაფრთხილებელი და ჩამაფიქრებელი ხმა ჩვენი რაობის, ჩვენი ყოფნის ჩვენი ისტორიული ბედის შე-სახებ, რომლის გამოსწორება, შესაძლებელია, ისტო-რიამ ჩვენს თაობას არგუნა?

აია, უდროვო არ არის დღეს ფიქრები საქართველოზე და მავნე არ არის ისეთი ფიქრებიც კი, როგორაც მე ვიფიქრე თავის დროზე.

გზის ძებნა და იქვიანობა, საკუთარი თავის კრიტიკა და მეტის სურვილი — ეს არაა პესიმიზმი. ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს ამ ძიებისა და აზროვნების ატმოსფერაში.

მხოლოდ ასე გავმართავთ ჩვენ საქართველოს გზებს.

მხოლოდ ასე შეივიგნებთ და შეივიგრძნობთ ჩვენს რაობას.

ასე შეუქმნით და უანდერძებთ მომავალ თაობას საკუთარი თავის შეგნებისა და საღი ეროვნული აზროვნების იარაღს, —

ამ დიდსა და სავალდებულო განძს, რომელიც ვერ დაგვიტოვა ჩვენმა „მამებმა“ და რომლის გამოქედვა ასე გვიძნელდება, აწ უკვე დავაჟკაცებულ მათ შვილებს.

5

ეხლა გადავალ იმ ავტორების საპასუხო მსჯელობაზე, რომელთაც გამოსთქვეს თავისი აზრი ჩემი წერილის შესახებ და ამავე დროს შევეხები ამ წერილის ფაქტიურ მხარეს.

ამ წერილში ერთია ერის „ბედის“ საკითხი, რომელიც ეხება, ასე რომ ვსთქვათ, ერის განვითარების „გეოლოგიურ“ მხარეს. მეორე არის საილიუსტრაციო მასალა, ნაწილობრივ თანამედროვე ჩვენს ყოფასთან დაკავშირებული, თუ მოცემული ამ ყოფის მიერ.

როგორ ეხატება თანამედროვე ქართველ კაცს საკუთარი ქვეყნის ბედი, როცა ის გადახედავს ქართულ ისტორიას?

ძალიან ცოტაა ამ ისტორიაში სასიხარულო.

იქ არის უდიდესი მაგალითები გმირობისა და კეთილშობილების, პათოსისა და მაღალ ნიჭიერების. ჩვენს ისტორიას ახსოვს ადამიანის თვისებათა განმაცვიფრებელი საამაყო ეპიზოდები. ნიმუშები ქართულ სიტყვის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, მუსიკის ყოველს ჩვენგანს შეუძლიან გადმოალაგოს მრავალი. არის სახელები ძველი ქართველების, რომელთაც სწამდათ საკუთარი ქვეყნის მოწოდება, რის სანიმუშოდ საკმარისია თუნდაც „ქებაი ქართულისა ენისაი". ნიკო მარის იაფეტიდური თეორიისაგან გამომდინარე დასკვნები ბევრისათვის შეიძლება საამაყო საბუთად გამოყენებულ იქნეს ყოველ კამათში. კიდევ ითქმის ბევრი რამ, რისი გამეორებაც ამ შემთხვევაში არ იქნებოდა გამართლებული და მიჩნეული დიდი ტაქტისა და გონიერების მაჩვენებლად.

მაგრამ —

ყოველივე ამის შემდეგ მაინც მართალია ის, რომ ქართული ისტორია არის არა მთლიანი ქანდაკება, არამედ ორგანიულ მთლიანობას მოკლებული მოზაიკა. სხეული, რომელიც როგორც ბურთი, მართლაც გაჰქონდა და გამოჰქონდა „მის გარეშე მყოფ ძალას".

შეიძლება მიზეზი ამისა იყო, სხვათა შორის, ის უხეირო გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვიკავია დღემდე, ან ისა, რომ „საქართველო იყო მარტო ხიდი" და რობაქიძის სიტყვებით რომ ვსთქვათ — „სისხლშერეული სხეული"...

ჩვენი ისტორია დანაყულია, დაჩეჩქვილი. შემთხვევულებანი ამ ისტორიისა ორგანიულად დაუკავშირებელ კუნძულებათ მოსჩანს საუკუნეთა ატორტმანებულ ზღვაში. ეგ ისტორია „დიდსა ქვაბში არ ეტია, პატარაში არ კმარიყო“, როგორც ქართული ანდაზა ამბობს.

6

გრ. რობაქიძის აზრით ასეთ ნაირად იხატება „ძველი იბერიის რასიული ელემენტი, რომელიც აწინდელ საქართველოში ყველაზე უფროა გამახვილებული“:

„ჩვენ გვიყვარს „სემიტური გამოჩენა“, მაგრამ ჩვენ აზიული „გამორჩევაც“ გვიყვარს. „ლალაგადასმულობის“ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა, მაგრამ ხშირად გვაჯადოვებს რაინდული „ხმალში გამოწვევა“; ჩვენ „მეწვრილმანებიცა“ ვართ და „რაინდებიც“. ქართველი კაცი „ლაქიაც“ არის და „მეფეც“; „ჟულიკიც“ და „არისტოკრატიც“. ქართული ყოფა ფუნქციონალურია. საქართველო არის და კიდევაც არ არის. მას არ სჯერა თავისი თავის და სურს სხვა იყოს. ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი). ამიტომ ისმება საკითხი: ან თავის-თავის შონახვა, ან სრული დალუპვა. გზა ხსნილი არ არის ახვა“. („ბარიკადი“ № 1).

ასე სწერდა გრ. რობაქიძე 1920 წელში.

ძნელია ამ ფიქრების ოპტიმისტურად გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში ძნელია სწორედ იმ ისტორიულ

საქართველოს მიმართ, რომელსაც დღეს გრ. რობაქიძე ასეთის კმევით იხსენიებს.

საკვირველია, მხოლოდ, რომ 1920 წლის იქვიანობა ჩვენი, ისტორიისა და ქართული ბუნების მიმართ გრ. რობაქიძეს 1927 წელში გაქარწყლებია და მის ფიქრებს, ასეთის უკუხვეულობით, 1927 წ. ძველი საქართველოს აპოლოგამდე მიუღწევია.

საკვირველი და სამაგალითოა ისიც, რომ ეს აპოლოგია სულ უკან და უკან იხევს და ხუთიოდე საუკუნით შორდება თანამედროობას.

თანამედროვე საქართველოს გრ. რობაქიძე თითქმის ვერ ხედავს და მასში ვერ ნახულობს ვერც ერთ ფაქტს, რომ სამაგალითოდ მაინც მოიყვანოს თავის წერილში.

ცხადია. საქრთველოს რაობის ასეთნაირად დატრიალება თითქმის უარყოფაა უკანასკნელ დროის საქართველოსი და აშკარაა — მომავალი საქართველოსიც. თუ გავყვებით თუნდაც ჭავჭავაძის ფორმულას, რომ არ უნდა ვიტიროთ, „რაც დაკარგულა“, არამედ „ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი და ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“-ო.

გრ. რობაქიძის წერილიდან ასე გამოდის, რომ რაც ყოფილა ის „დაკარგულა“, გზა გაწყვეტილია. ამიტომ რობაქიძე თანამედროობას ვერ ამკვიდრებს წარსულზე და მომავალს კიდევ ვერ აშენებს ამ თანამედროობაზე. აწინდელი მომამლის აშენება ცოტნე დადიანის და იაკობ ხუცესის საქართველოზე კი ყოვლად წარმოუდგენელია და მოუხერხებელი.

როცა მე ძველის კრიტიკას ვეწევი და იქვის თვალით უყურებ წარსულს და შეიძლება მომავალსაც

კი, რათა შევითვისო და შევიგნო ერთიც და მეორეც — რობაქიძე მე უკან მაბრუნებს და, როგორც მამა დაკარგულ შვილს, მეუბნება: თუ რამ იყო — წარსულში იყო, მაგრამ შენ ეს არ იცი.

შეიძლება მე მართლა არ ვიცოდე, რომ გიოტემ სადღაც აქო ქართველი ქალი, მაგრამ საქმე ამაში როდია. საქმე იმ დაქუცმაცებაშია, იმ აღრევაში, რომელიც თან მიყობოდა ყოველ ქართულს წარსულ ისტორიაში.

ის „ლაქია" და ის „მეფე"; ის „ჟულიკი" და „არისტოკრატი"; ის „ლომი" და „რწყილი"; ის „ეშმაკი" და „ანგელოზი"; ის „ნიჭი" და „ყიყვი" — ეს ხომ ფაქტია და ხომ დასაძლევია ეს.

დასაძლევია, რადგან აქამდე ყოველივე ეს აბნელებს, ასუსტებს და სავსებით აქრობს „ეროვნულ გენიას, ეროვნულ იდეას, აზრს, შინაარსს" მთელი ისტორიის მანძილზე. და თუ გინდა, რომ ეს გამოსწორდეს — ამაზე ფიქრი გვჭირდება, საკუთარი თავის შეგნება და ძიება ახალი გზების.

7

ქართველ პატრიოტად და ისტორიის მცოდნე პირად თავის დროზე მიჩნეული მიხაკო წერეთელი 1925 წლის ივნისში პარიზელ ქართულ გაზეთის ფურცლებზე სწერდა, რომ „ჩვენ მუდამ გვაკლდა ნათელი და ძლიერი ეროვნული იდეა", რომ „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც. და რომ ჩვენ უნდა ვიგლოვოთ არარაობა ჩვენი ეროვნული პოლიტიკური აზრისა"-ო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე არაფრის გლოვა და არაფრის დაკარგვაც არ მსურს. ახალ საქართველოში მე მინდა განმტკიცდეს არა ისეთი „განწირული" საქართველოს იდეა, რომელიც შარშანდელი თოელივით ქრება და რომლის მოჭირისუფლე თითონ იჯერებს, რომ ის უთუოდ უნდა დაღუპულიყო, არამედ მინდა განმტკიცდეს იდეა მტკიცე და შეუდრეკელი, როგორიც არის პრიმატი ამ ახალ საქართველოს მეპატრონე მშრომელი ხალხის და რომელსაც მე მინდა მივაკუთნო იმავე წერეთლის სიტყვები. „მოვა სხვა საქართველო, მის სათავეში იქნებიან ჩვენზე უფრო ძლიერი და გონიერიო".

დღევანდელი საქართველო მე სწორედ ასეთი ძლიერი ხალხის საქართველოდ წარმომიდგენია და ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს, რომ ამ საქართველოში განმტკიცდეს ისეთი შეგნება, რომელიც „დააძმობილებს ტვინსა და მუშტს" იმ „ბედის სასწორის დასაყირავად", რომელიც ასე აწვალებდა ჩვენს ისტორიას წარსულში. და ეს სასწორი ამ ტვინმა და მუშტმა უნდა გადახაროს არა ისტორიული უკუღმართობის, არამედ გაშლილ, ნათელ პერსპექტივის გზით — შრომისა და მშვიდობიანობის მხარეზე.

8

სწორედ ამიტომ დგება საკითხი: ან თავის თავის მონახვა, ან სრული დაღუპვა და, როგორც გრ. რობაქიძე სამართლიანად აღნიშნავს, — „გზახსნილი სხვა არ არის".

გრ. რობაქიძე აქ მართალია, მაგრამ გრ. რობაქიძე მე-17 საუკუნეში ურტყამს წერტილს და რო-

ბორ გნებავთ, რომ ამ წერტილის, თუ განცვიფრების ნიშნის შემწეობით „გავხსნათ“ სამასი წლის სიმძიმით ჩაბარიკადებული გზები?

ჩვენი დროის კაცი ამ სიგრძე გზას ჯერ-ჯერობით ვერ გადაახტება, რომ დაებჯინოს გრ. რობაქიმის მიერ დასმულ წერტილს, ხოლო ვინაიდან მისთვის სხვა „გზახსნილი არ არის“ — უნდა დავსტოეოთ პატივცემული გრიგოლი ამ ნიშანთან და გადავიდეთ უფრო ელასტიურ აზროვნებაზე. საცა არც თუ განცვიფრებითი ნიშანს არ ხმარობენ — აბრეშუმის ძაფზე გადიან და გამოდიან.

9

ამ აბრეშუმის ძაფზე სეით დევდარიანი დადის.

სეით დევდარიანის წერილში ძნელია რაიმე კონკრეტიული დებულების მონახვა. „მიწიშვილის ფიქრებიო“, — სწერს დევდარიანი, — ვერაა ლოლიკურის თანამიმდევრობით გამართულიო“.

საესებით ვეთანხმები ამაში მე სეით დევდარიანს. სწორედ ასეთია ჩემი ფიქრები. ვინაიდან ისინი, როგორც დევდარიანი ამბობს, „სტიქიურად მოწოლილი განცდაა“.

შეიძლება ძართლა სტიქიურად გავყევი თავის დროზე ჩემ ფიქრებს და მივახეთქე თავი უიმედობას. რომ ამისაგან დროზე არ მებრუნებია პირი და სწორი გზა არ მენახა, გრ. რობაქიძის და სეით დევდარიანის ხელში, როგორც ეტყობა, სულ დავიღუპებოდი.

მაგრამ, რატომ სეითი არ აყენებს საკითხს უფრო ლოლიკურად. რატომ შემჯდარა იგი „ლომზე“

და რისთვის შეუბორკავს მისი მსელელობა „რწყილის ნაბიჯით“?

მოხერხებულად ატარებს იგი თავის „ლომს“ ჩემი ფიქრების ოღრო-ჩოღრო გზებზე. ხან აუხვევს, ხან ჩაუხვევს, ხან ელასტიურად გადაახტება უხერხულ გორაკს, ხან წყალს ღვინოთ აალივლივებს, ხან კიდევ ვერცხლის ჰანგზე აწკრიალებს ბამბის ქულას...

მაგრამ რა გაეწყობა — „მიწიშვილი არაა მიჩვეული მარქსისტულ აზროვნებას და მიწიშვილს მუსიკა ეშლება“.

რა ვქნა, პატივცემულო სეით! მეშლება. განა არ ვიცი. რომ მეშლება. მაგრამ ე თქვენც რომ გეშლებათ? და თქვენ რომ მარქსისტულ აზროვნებაში განსწავლული უნდა ბრძანდებოდეთ — რატომ გემართებათ ეს. პატივცემულო სეით?

10

ისტორიით მაინც და მაინც არ ამძიმებს დევდარიანი თავის წერილს. მაგრამ უდავოთ მიაჩნია მას. რომ „თუ წარსული არ ვარგა, შეუძლებელია იქ ახალი საქართველო მოინახოსო“.

მაშასადამე, როგორ გავიგოთ? „ვარგა“ ეს წარსული თუ „არ ვარგა“. შეგვიძლია ისე გავიგოთ, რომ სეითის აზრით არც წარსული „ვარგა“ და არც ახალი. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სეითის თქმა — „თუ წარსული არ ვარგა“ ნიშნავდეს მას რომ წარსული „ვარგა“.

კარგი და კეთილი. თუ წარსული „ვარგა“ — უნდა „ვარგოდეს“ ახალიც. მაგრამ თუ კი ეს ასეა.

რატომ „აღარ ვარგა" მაგ. თანამედროვე ხელოვნება რუსეთსა და საქართველოში. როგორც ამას სხვისი სიტყვებით გვიმტკიცებს დევდარიანი?

აქ რაღაც არეულობა უნდა იყოს, მაგრამ თუ „მიწიშვილის მარჯვენამ არ იცის, რასა იქმს მარცხენა მისი" — სეით დევდარიანის მარჯვენამ უთუოდ იცის მოქმედება თავისი მარცხენა ხელის.

რალაცაში აქ უთუოდ იჩაგრება მიწიშვილი.

11

სეითი სწერს:

„ამ ფიქრებში არის დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე და სულ პატარა, რწყილისოდენა მოლოდინი საქართველოსაგანო". და იქვე კითხულობს: „მაშ, საიდანაა მისი დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე? ის საზრდოობს ძირიდან, მიწაში გადგმულ ფესვებზე და საქართველოს მიწა რომ ფუყე ყოფილიყო, მიწიშვილის ფიქრები იქნებოდა „ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენო".

მაშასადამე, მე არც ისე უნიადაგო ვყოფილვარ, როგორც ამას ერთი შეხედვით იფიქრებს კაცი. და ეს ნიადაგი კი, სეითის გაგებითაც, ის ნიადაგია, რომელზედაც მე დღეს ფეხი მიდგამს. ეს არის დღევანდელი საქართველოს ნიადაგი, რომელიც თურმე მაძლევს იმდენ პათოსს და საკუთარ ენერგიას, რომ ჩემი ფიქრები არ შეიძლება ჩაითვალოს „ენერგიად ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ".

მაგრამ თუ დღევანდელი საქართველოს ნიადაგი ასე მტკიცეა და მკვიდრი, რატომ არ ეუბნება დევდარიანი „შენდობას“ იმ „მღვდელს“, რომელიც ამ რევოლიუციონურ ნიადაგზე ლოცულობს — რევოლიუციონურ ხელოვნებას. და რატომ იშველიებს იგი ინგლისურ სტატისტიკას ამ უარის შთაბეჭდილების შესასუსტებლად?

მე დამეეჭვა დღევანდელი ხელოვნება. სეითი ამბობს — „რას ბრძანებ, როგორ შეიძლება... აი თუნდ აზრი ერთი კრიტიკოსის. რომელსაც სწამს, რომ რუსეთში ხელოვნება იქნება, მაგრამ ხელოვნებათ არ ინჩევს იმას, რაც არის დღესო“.

ამავე დროს ინგლისური სტატიტსიკა ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარება სულ ზევით და ზევით მიდის.

მაგრამ, თუ ცხოვრება ასე სდუღს და გადასდუღს, ამ ხელოვნებას რაღა ღმერთი გაუწყრა. სეითის კრიტიკოსი კი ასეთი კარგი ცხოვრების სარკეს — თანამედროვე ხელოვნებას რაღაც მეტად უნუგეშო ფერებში ხატავს: „მას ხელოვნებად არ მიაჩნია ის, რაც არის ღღეს“. და სეით დევდარიანიც თვალს უქნევს ამ კრიტიკოსს — „ეს ძლიანი სთქვი, ძალიან გამომადეჭი ამ გაჭირვებაში, თუ არა მე გამიჭირდებოდა მაგის თქმაო“. იქვე დასძენს, რომ რა უყოთ — „ამ კაცს სწამს, რომ ოდესმე ხელოვნება უთუოდ შეიქმნება რუსეთშიო“.

ასე ბევრი რამე მწამს. მაგრამ მარტო „წმინდაო ღმერთოს“ ძახილით ვინ შეიყვანს სასუფეველში!

12

სეითი ამბობს:

„იქნება ეცოტავება მიწიშვილს. იქნება მეტი უნდა. რადგან მეტია მისი წარმოდგენა საქართველოზე. თითქოს ცოტაა მისთვის მთელი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. როცა მეტი გინდა, მაშინ მეტის იმედი გაქვს"-ო.

რისი იმედით უნდა გექნეს კაცს „მეტის იმედი"?

ცხადია, მე მეტი მინდა. რობაქიძის სიტყვით, რომ ვსთქვა, მე უარვყობ ჩემს თაეს (ცუდს), რომ ვნახო ჩემი თავი (უკეთესი). მე მინდა „გარდავიცვალო", რომ სხვა გავხდე — ახალი და კარგი. ეს ასეა. მაგრამ როგორ მოხდება ეს, ამაზე სეით დეევდარიანი არაფერს რჩევას არ მაძლევს. სეითი აქ ბინდს აყენებს. „ბრუნავს", როგორც იქვე დასახელებული პირანდელოს რომანი და იძახის: ვის გაუგონია სოციალისტურ დროშის ქვეშ წუწუნი და გულის გატეხილობა. ეს ბურჟუაზიული ავადმყოფობაა.

და იქვე მაგალითით ამტკიცებს, რომ ამ ავადმყოფობით მიწიშვილი უთუოდ არაა დაზიანებული, რადგან შეუძლებელია ასეთი ავადმყოფი ჩაებას სოციალისტურ აღმშენებლობაში ისეთის ენერგიით, როგორითაც მიწიშვილია ჩაბმულიო.

გამოდის, რომ ავადაც ვარ და კარგადაც ვარ.

„არც თოვს, არც წვიმს, არც დარია".

13

ჩემის ფიქრით მე ავად ვარ უდროო დროს მოყვანილი ამონაწერის იმ „ზედმეტით", რომლითაც,

როგორც პირანდელოს გმირი ამბობს, — „ადამიანი განირჩევა პირუტყვიდან".

ამ „ზედმეტისაგან" მე უარს ვერ ვიტყვი და ამიტომ იყო, რომ ამ ადამიანობის გულისათვის ჩავები მე სოციალისტურ აღმშენებლობაში ასეთის გატაცებით და ინტერესით და სწორედ სოციალისტური დროშის ქვეშ მინდა გავამთელო ის დაეჭვიანებული სული, რომელშიაც „სუფევს ორი, ერთი-მეორეს უარისმყოფელი მომენტი", როგორც ამას აღნიშნავს ლევდარიანი.

14

სეით დევდარიანის შენიშვნა, რომ „ეროვნული კულტურის საკითხი არ დაისმება ეროვნულ საზღვრებში, არამედ მას (კულტურას) საზრდო ეძლევა საერთაშორისო ფესვებიდან"-ო — თითქოს უმართებულოდაა ნასმარი ჩემი დებულების წინააღმდეგ, ვინაიდან მთელი ჩემი წერილი იმ სურვილზეა აგებული, რომ საქართველო როგორმე გავიდეს საერთაშორისო კულტურის სარბიელზე.

დევდარიანი მართალია, როცა ამბობს, რომ ერს ეოეოდ უნდა ჰქონდეს რაიმე საექსპორტო (კულტურის მხრივ). და ჩემი იქვი სწორედ აქ იბადებოდა, ვინაიდან დღევანდლამდე ჩვენ უმთავრესად კულტურული იმპორტით ვცხოვრობდით და ვსცხოვრობთ.

ექსპორტი უნდა იყოს, მაგრამ დევდარიანი არაფერს ამბობს იმის შესახებ — გვქონდა თუ არა ეს ექსპორტი.

ჩემის ფიქრით ჩვენ საექსპორტო რამ არ გვქონია

და ამ მხრივ ჩვენ მუდამ სუსტი ვიქნებით, სანამ ერში არ დატრიალდება რაიმე იდეის ძალა. მე სწორედ ამ ცენტრალურ იდეას ვეძებდი ჩვენს ისტორიაში. ეს დევდარიანმაც ვერ დამანახვა. რაიცა შეეხება უცხოეთიდან შემოტანილ იდეებს — მე ასეთი იმპორტის წინააღმდეგი ვარ. რადგან ევროპას საიმპორტო იდეები აღარ მოეძებნება. ხოლო ერთად ერთი მსოფლიო იდეა, რომელიც იდევნება ევროპიდან და ფეხს იკიდებს რუსეთში — ესაა იდეა მუშათა მოძრაობის, კომუნისტური იდეა. იგი ბუნებრივია საქართველოსათვის და ამიტომ ბუნებრივია ჩემი უარყოფა ევროპის იმპორტის და მასთან დაპირისპირება საქართველოსი მთელი საბჭოთა კავშირთან ერთად — ოქტომბრის რევოლიუციის იდეის დასაცავად და მის გასავრცელებლად.

15

სიკინ ჩიქოვანის და ბ. გორდეზიანის წერილები იმითაა საინტერესო, რომ ფიქრი საქართველოზე აწუალებს და აწუხებს ახალ თაობასაც. ეს ერთხელ კიდევ მარწმუნებს ინაში, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნება არ იყო უმნიშვნელო და ეს მნიშვნელობა გამოიხატა იმაში. რომ გამოაშკარავდა სხვა და სხვა შეხედულებანი ამ საქმის ირგვლივ ქართული საზოგადოების სხვა და სხვა წრეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩიქოვანი სცდილობს ,,კრიტიკოდ მიიღოს თანამედროობა — მის წერილსაც მაინც გამოუჩვეულობის და ბუნდოვანობის ბეჭედი აჩის. ,,ძველი აზროვნებაც თითქო იმგვარადვეა

გაორებული, როგორც გარდამავალი ეპოქის ყოველ პიროვნების.

„ვინც საქართველოში ისტორიზმს (დადებითს) ემყარება — ვერ განიცდის თანამედროვე ხედვას (?) ამ ფიქრების მიმართ და ის მის გონებაში უანალიზოდ რჩება". ხოლო „ვინც წარსულს ხედავს მხოლოდ უარყოფითი ფაქტებზე — ის ვერ უთანხმებს მას სალხის მოქმედების საერთო გზებს. (?) და იბადება პესიმიზმი ისტორიზმის".

მეტად ძნელია აქ „გზახსნილის" ნახვა:

თუ დადებითი ფაქტების ისტორიზმს დაემყარე — ეს დაგაყენებს თანამედროობის გარეშე. და თუ დაეყრდნე უარყოფითი ფაქტებს — ამით სულ შორდები ისტორიას და ვარდები პესიმიზმში.

ჩიქოვანი ვერ ასაბუთებს, თუ რისთვის სჭირდებოდა ეს ორი დებულება თავის წერილში. მაგრამ უარყოფს რა ორივეს, — ამბობს, რომ თანამედროობას (?) უნდა მივაპყრათ მთავარი ყურადღებაო". მაგრამ ეს თანამედროობაც მეტად გამოურკვეველად და ბურუსანად აქვს ს. ჩიქოვანს ასახული.

მაგრამ ერთ საინტერესო რამეს ჩიქოვანის წერილი მაინც იძლევა, როცა ის ამბობს, რომ ჩემი პირველი წერილი დამახასიათებელიაო იმით, რომ „ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა ბეწვის ხიდია თანამედროვე ადამიანსა და დროგასულ თაობათა შორის"-ო.

ეს თქმა ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმას, რომ ჩვენს დროში თუმცა ბევრს მართლა „უნდა" იაროს თანამედროობასთან ერთად მხარ და მხარ — მაგრამ ეს საქმე ძნელდება და ძნელდება არა მარტო იმიო,

რომ სიტყვასა და საქმის გაერთება ძნელია, არაშედ იმიტომაც, რომ „ბეწვის ხიდზე გასვლა“ ხშირად კატასტროფითაც თავდება.

ჩიქოვანი სცდილობს ამ „ბეწვის ხიდზე“ გავლას უფრო სტიქიურად, ვიდრე ლოლიკით. და შეიძლება ეს იყოს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ წერილისა და საერთოდ ახალი თაობისათვის, თუმცა ამ თანამედროობის კონკრეტიულად ასახვა უძნელდება.

16.

ბ. გორდეზიანის წერილი თითქოს უფრო კონკრეტიულია, უფრო მეტი მასალაა მოცემული შიგ და მეტი დამაჯერებელიცაა ეს წერილი (მაგ., სიმბოლიზმის კრიზისი, ეროვნული ნიადაგის მოძებნის სურვილი და სხვ.). იგი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ცოტა უფრო მოადრებით ყოფილიყო დაწერილი, ვინაიდან თვით მე კარგა ხნის წინედ გამოვს ქვი ხსენებული წერილის მთავარი დებულებანი „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში მოთავსებულ ექსკურსში სახელწოდებით „ქართული კულტურის ახალი გზები“.

საჭიროდ მიმანჩია აღვნიშნო, რომ ხსენებული წერილი („ქართული კულტურის ახალი გზები“) მე გამოვუგზავნე პარიზიდან 1924 წელს გაზეთ „კომუნისტს“, სადაც ის სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნა გამოქვეყნებული.

ეს წერილი დაბეჭდილია ამ კრებულში და მკითხველს შეუძლია გაეცნოს მას.

იქ მე სხვათა შორის ვწერ:

„გვახსოვდეს, რომ ცოცხალთათვის არაფერი არაა საკალდებულო ერთის გარდა — ის, რაც დღემდე თქმულა და გაკეთებულა კაცობრიობის წინსვლისათვის. დღეს არ ,ქმარა. ყოველმა თაობამ უნდა მიუმატოს ამ საქმეს და ამ სიტყვას თავისი წილი აქტიურობისა.

ბეთლემის ლურჯი ვარსკვლავი ქრება და კარგავს სიმხურვალეს. ამოდის სხვა, ცეცხლოვანი ვარსკვლავი მსოფლიოზე, რომელიც ანათებს ჩვენთვის დიდ შესაძლებლობათა გზებს.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.

„და გავყვეთ მას“.

17.

ესაა, დაახლოვებით, ჩემი რწმენა და მოქმედების მთავარი გეზი, რაიც სავალდებულოდ მივიჩნიე უკანასკნელი წლების ფიქრისა და მოქმედების პროცესში.

ამ ჩემს აზრებშიაც, შეიძლება, ბევრი დარჩეს საკამათო, მაგრამ ეს მაინც არის ერთგვარი პოზიცია, ერთგვარი ეტაპი. საიდანაც ნათელი ხდება ჩემი და ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის განწყობილება და მისი მისწრაფების მთავარი გეზი. ესაა სინდისის პასუხისმგებელი განაჩენი იმ სერიოზულ კითხვის წინაშე — თუ რა გზას უნდა მივყვეთ ჩვენ. და მე ვამბობ, რომ ეს გზაა მშრომელი ხალხის გზა პროგრესისა და შრომის უფლებისაკენ, საერთაშორისო მშვიდობიანობისა და ეროვნული განვითარებისაკენ; გზა,—რომელიც გაანათა ოქტომბრის რე-

ეოლიუციის. იდეამ სოციალურსა და ეროვნულ ფარგლებში.

ეს ეწამს - - ეს იდეა გაამთელებს საქართველოს, ეს იდეა გააერთიანებს მას, ის შეაკავშირებს ერის უბრაკლესობას და ასეთის საერთაშორისო მნიშვნელობის იდეით შეკავშირებული ქვეყანა, გადაჯაჭვული უდიდეს მოძრაობასთან მსოფლიოში, ველარ მოექცევა ისეთ რკალში, სადაც შესაძლებელი გახდება საქართველოს სხეულის დაყოფა და დანაწილება, მისი გონების გახრწნა და გამოტვინება.

და საქართველო ასეთნაირი — გამთელებული კულტურულად და ეკონომიურად თანდათან გამოვა იმ მოჯადოვებული წრიდან, სადაც ერის ბედი სწყდება არა „მის გარეშე მყოფ ენერგიით", არამედ შინაგანი ძლიერების სიჭარბით, რომელიც გადალახავს კულტურისათვის უმნიშვნელო გეოგრაფიულ საზღვრებს.

P. S. საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ერთ გარემოებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩემი პირველი წერილის გამოქვეყნებასთან.

მე წინდაწინ ვგრძნობდი, რომ „ფიქრები საქართველოზე“ გამოიწვევდა მრბვალ გაუგებრობას. და როცა იგი მე დაბეჭდვამდე წაუკითხე მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მოღვაწეებს — მათაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ პირადად ჩემთვის ამ წერილის დასტამბვა არ იქნებოდა სასარგებლო, მაგრამ ობიექტიურად მის გამოქვეყნებას უთუოდ ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა.

მეც გავბედე და წერილი გამოვაქვეყნე.

როგორც მოსალოდნელი იყო, წერილს დიდი მითქმა-მოთქმა მოყვა. ზოგმა „„ქართველი ჩაადაევი“ მიწოდა, ზოგმა „მისტიკოსი და ფატალისტი“, ზოგმა „რეაქციონულ მოაზროვნედ“ მომნათლა, ზოგმა უმართებულოდ მომაწერა საბჭოთა აღმშენებლობის უარისმყოფელი მოქალაქე და სხვ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მე არ ვნანობ, რომ ეს ასმაურება გამოვიწვიე, თუნდაც იმიტომ, რომ საშუალება მიეცა სხვადასხვა ავტორებს და კიდევ ბევრ სხვას გამოეთქვათ პრესაში, თუ საზოგადოებაში საკუთარი აზრი და ფიქრი ამ საკითხზე.

მე კმაყოფილი ვარ აგრეთვე იმითაც, რომ მთავარი ძალა ამ ფიქრებისა მიმართულია დღევანდელი საქართველოს განმტკიცებისაკენ და თუ ამ დიდ საქ-

მე'ში დეტალები და პრაქტიკა ჯერ კიდევ ყველასათვის სავსებით არაა უდავო — მწამს, ისინი გადალახულ იქნებიან იმ მთლიანი აზროვნების ძალით, რომელიც ასე თავგამოდებით ქმნის დღევანდელ საბჭოთა საქართველოს და რომელიც დღითი დღე აკავშირებს ფართო ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო მიზნებთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1) წერილი „ფიქრები საქართველზე“ წარმოადგენს კერძო წერილს. რომელიც მოსწერა ავტორმა თავის ლიტერატურულ მეგობრებს სტამბოლიდან 1922 წელს.

ეს წერილი პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობის“ პირველ ნომერში.

2) წერილი „ქართული კულტურის ახალი გზები“ პირველად დაიბეჭდა „ქართული მწერლობის პირველ ნომერში 1926 წელს.

3) წერილი „ობოლი ოცნება“ დაიბეჭდა 1925 წ. თებერვალში გაზ. „კომუნისტში“.

4) „ახალი საქართველო“ დაიბეჭდა გაზეთ „ახალ საქართველოს“ პირველ ნომერში 1924 წ. ნოემბერში. წარმოადგენს გაზ. „ახალი საქართველოს“ საპროგრამო წერილს. იბეჭდება შემოკლებით.

5) „ჩვენ და სომხები“ დაიბეჭდა პირველად გაზეთ „ახალ საქართველოში“.

6) „მწერლობა და საზოგადოებრივობა“ დაიბეჭდა „ქართული მწერლობის პირველ ნომერში, 1926 წ. სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობის შემდეგ. მოცემულია ის ხაზი, რომელიც აიღო მწერალთა ყრილობამ 1925 წ. და რომელშიაც მოათავსა კავშირმა თავისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

7) წერილი „კიდეე საქართველოზე“ წარმოადგენს საპასუხო წერილს იმ ავტორებისადმი, რომელნიც გამოეხმაურენ ჩემს წერილს „ფიქრები საქართველოზე“.

△△△

შინაარსი.

ფიქრები საქართველოზე	11
ქართული კულტურის ახალი გზები	29
ობოლი ოცნება	43
ახალი საქართველო	59
ჩვენ და სომხები	67
მწერლობა და საზოგადოებრიეობა	79
ფიქრები ქართულ მწერლობაზე .	87
კიდევ საქართველოზე	95

△ △ △

15/VI-27. ს.ს.მ.ფ.ს. პოლიგრ.-ტრ. 1-ლი სტამბა. პლეხ. 3. № 91
მთავარლიტი № 1247. შეკვ. № 1016/7094. დაიბ. 1500.